

დისციპლინური სამართალწარმოების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და მოსამართლეთა ეთიკის თავისებურებები პოსტსაბჭოთა ქვეყნებში

(შედარებითი ანალიზი)¹

(აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს წიგნის სამუშაო ვერსიას)

თბილისი, 2014 წელი

¹ ავტორი: საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის არამოსამართლე წევრი ქეთევან ბექაური

შესავალი.....	3
1. პოსტსაბჭოთა ქვეყნების დისციპლინური კანონმდებლობა (ზოგადი მიმოხილვა).....	4
2. სამოსამართლო ქცევის წესები (მოსამართლეთა ეთიკა).....	10
3. დისციპლინური გადაცდომის სახეები (დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები).....	22
4. დისციპლინური სახდელები	30
5. სადისციპლინო ორგანოების სტრუქტურა	34
6. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება	35
7. საქმის განხილვის წესი (სხდომათა საჯაროობა)	36
8. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო	36

შესავალი

მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაჭოთა ქვეყნებს საბჭოთა კავშირის პირობებში არამარტო საერთო გეოგრაფიული, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული, ისტორიული და კულტურული სივრცე გააჩნდათ, მათ, ასევე, ჰქონდათ სასამართლო თვითმმართველობის, მოსამართლეთა სტატუსისა და სასამართლო სისტემის მარეგულირებელი ერთიანი სამართლებრივი ბაზა, თუმცა უნდა ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თითოეულმა პოსტსაჭოთა ქვეყანამ მაინც შეძლო გამოემუშავებინა სასამართლო სისტემის ფუნქციონირების საკუთარი გამოცდილება და მართალია, ეტაპობრივად, მაგრამ შეძლებისდაგვარად დაახლოვებოდა ევროპულ სტანდარტებს, იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს შიდა ეროვნულ კანონმდებლობაზეც. აღნიშნულ ქვეყნებში, კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განმტკიცების საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ევროპის საბჭოს საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ შემუშავებულ საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს. სწორედ ამ ფუნდამენტური ღირებულებების დაცვისა და გაძლიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პოსტსაჭოთა სივრცის ქვეყნებში დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო კორპუსის ჩამოყალიბებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმაჩნია, რომ არცთუ ისე შორეულ წარსულში, ერთიან გეოპოლიტიკურ ორბიტაზე განლაგებული ქვეყნების, რუსეთის, უკრაინის, ბელარუსის, მოლდოვის, სომხეთის, აზერბაიჯანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის და ტაჯიკეთის, ასევე ბალტიისპირეთის ქვეყნების: ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის ინსტიტუტების, ზოგადად, დისციპლინური ორგანოების საქმიანობის ცალკეული ასპექტების შედარება მათ დინამიკაში და ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება გარკვეული თვალსაზრისით პროდუქტიული იქნება საქართველოს შიდა ეროვნული დისციპლინური სამართალწარმოების განვითარების, სწორი პრაქტიკის ჩამოყალიბების, დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების კონკრეტული კრიტერიუმებისა (იგულისხმება მაგალითად, მოსამართლის მოვალეობების არაჯეროვანი შესრულება²) და მოსამართლეთა სამართლებრივი დაცვის უფრო ეფექტური მექანიზმების შემუშავებისთვის. ამავე მიზნის განხორციელებისათვის ვფიქრობ, ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ექნება განსახილველ ქვეყნებში დამკვიდრებული სამოსამართლო ქცევის წესებისა და მათი განმასხვავებელი ნიშნების მიმოხილვას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი რიგი ქვეყნების დისციპლინურ სისტემებს შორის გვხვდება როგორც გარკვეული თანხვედრა, ისე სპეციფიკური თავისებურებებიც, მათ შორის დისციპლინური სამართალწარმოების განსხვავებული დოქტრინა, გადაცდომათა სახეები, სახდელის სახეები, დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები და ა.შ.

² საქართველოს კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“, მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქ/პუნქტი);

1. პოსტსაბჭოთა ქვეყნების დისციპლინური კანონმდებლობა

(ზოგადი მიმოხილვა)

რაც შეეხება დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროში დასახელებული პოსტსაბჭოთა ქვეყნების საკანონმდებლო ბაზას, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნების ეროვნული ინსტიტუტებმა თავიანთი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გარკვეული ტრანსფორმაცია გაიარეს, დღეს მოქმედი სისტემა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს, რამდენადაც დისციპლინურ კანონსა თუ ცალკეულ დებულებებში გაწერილი ნორმები არ არის ნათლად ჩამოყალიბებული ან ბუნდოვანია, ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებასთან დაკავშირებით თავის დასკვნაში იურისტთა საერთაშორისო კომისიამ მიუთითა, რომ "არ არსებობს ერთიანი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ერთგვაროვან განმარტებას, ანუ არ არსებობს ერთგვაროვანი პრაქტიკა",³ ასე, მაგალითად, რუსეთის კანონმდებლობით მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს: "მოსამართლის სტატუსის შესახებ" რუსეთის ფედერალური კანონითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული დებულებების დარღვევა"⁴ იგივე შეიძლება ითქვას სხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც, მაგალითად როგორცაა ბელარუსის რესპუბლიკა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და ყაზახეთი, რომელთა კანონმდებლობაშიც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად დასახელებულია ზოგადი ფორმულირებები, კერძოდ - მოსამართლის მიერ: 1) მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონის უხეში დარღვევა (ბელარუსის შემთხვევაში);⁵ 2) თუ საქმის განხილვისას მოსამართლე არაერთგზის ან უხეშად არღვევს კანონის მოთხოვნებს (აზერბაიჯანის შემთხვევაში);⁶ 3) მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონიერების დარღვევა (უზბეკეთის შემთხვევაში);⁷ და 4) საქმის განხილვისას კანონიერების დარღვევა (ყაზახეთის შემთხვევაში);⁸ რომელი ქვეყნების კანონმდებლობაშიც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები არის ზოგადი და იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას, რაც ეწინააღმდეგება დისციპლინური ურთიერთობის სფეროში საერთაშორისო ინსტიტუტების მიერ დადგენილ და საყოველთაოდ აღიარებულ სახელმძღვანელო ნორმებსა თუ ცალკეულ რეზოლუციებსა და დასკვნებს (ან თუნდაც რეკომენდაციებს), მაგალითად, ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნაში - "საქართველოს საერთო სასამართლოს მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ კანონზე", ვკითხულობთ, რომ "კანონმდებლობა, რომელიც მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას განსაზღვრავს, ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. (ნათლად ჩამოყალიბებული წესები დისციპლინური სამართალდარღვევა-

³ Дисциплинарное производство в отношении судей в Российской Федерации, Доклад миссии МКЮ Декабрь 2012, ISBN: 92-9037-168-4 http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT_rus.pdf

⁴ რუსეთის ფედერაციის 1992 წლის 26 ივნისის №3132-1 კანონი "რუსეთის ფედერაციის მოსამართლის სტატუსის შესახებ" (15.12.2001-ის რედაქცია), მუხლი 12.1. და დებულება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების მუშაობის წესის შესახებ, 28-ე მუხლის 2-ე ნაწილი;

⁵ ბელარუსის რესპუბლიკის კანონი „სასამართლო სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ“, მუხლი 111;

⁶ (აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი სასამართლოებისა და მოსამართლეთა შესახებ, მუხლი 111-1);

⁷ (უზბეკეთის რესპუბლიკის „ოლი მაჯლისის“ დებულება „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შესახებ“, მუხლი 73);

⁸ ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი სასამართლოს სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ, თავი მე-2 მუხლი 39;

ბისტვის მოსამართლეთა თვითნებური დევნის რისკს ქმნის)“⁹ ვენეციის კომისიამ იმავე დასკვნაში ასევე მიუთითა, რომ ”კანონის ორმაგი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა მოსამართლეთა დევნის საშიშროებას ქმნის. ასევე საჭიროა ოქროს შუალედის გამოძებნა მოსამართლეთა დისციპლინარული პასუხისმგებლობასა და მათი დამოუკიდებლობის გარანტიებს შორის, რათა ამ უკანასკნელს საფრთხე არ შეექმნას”.¹⁰ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების კანონში მკვეთრად ჩამოყალიბების შესახებ საუბრობს ასევე მოსამართლეთა საერთაშორისო ქარტია თავის დებულებაში, რომლის მიხედვითაც: "დისციპლინური სამართალწარმოება მოსამართლის მიმართ შეიძლება აღიძვრას მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და წინასწარ დადგენილი პროცესუალური ნორმების შესაბამისად;"¹¹ ზემოთ დასახელებული ქვეყნების ჩამონათვალიდან ცალკე უნდა გამოვყოთ თურქმენეთი, სადაც მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების პროცედურები გაწერილია "თურქმენეთის კანონში სასამართლოების შესახებ"¹² თუმცა აღნიშნულ კანონში არაფერია ნათქვამი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების შესახებ, ანუ კანონი არ შეიცავს ცალსახა განმარტებას იმის თაობაზე, თუ რა სახის დარღვევა შეიძლება ჩაითვალოს მოსამართლის მხრიდან დისციპლინურ გადაცდომად, თუმცა ამავე კანონის 74-ე მუხლის 7-ე ნაწილში მითითებულია მოსამართლის მიერ "კანონის დარღვევის" , როგორც დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შესახებ. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ამავე კანონის 73-ე მუხლის პრეამბულაში ლაპარაკია "მოსამართლის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ მოსამართლის მიერ კანონიერების დარღვევისა და სახელის გამტეხი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, რაც შეუთავსებელია მოსამართლის მაღალ წოდებასთან",¹³ თუმცა აღნიშნული ქმედება მოცემული კანონის მიხედვით არ წარმოადგენს დისციპლინურ სამართალდარღვევას. მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები ასევე ბუნდოვნადაა ფორმულირებული ლიტვისა და ესტონეთის კანონმდებლობაში. მაგალითად, ლიტვის შემთხვევაში - "ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ღირსებას;"¹⁴ ხოლო ესტონეთის შემთხვევაში - მოსამართლის მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, რომელიც გამოიხატება სამსახურეობრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში;¹⁵ იგივე შეიძლება ითქვას საქართველოს კანონზე "საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ", კერძოდ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის "ვ" ქ/პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას - "მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობისა ან არაჯეროვანად შესრულებისათვის", რის შესახებაც თავისი მოსაზრება გამოთქვა ასევე თავის რეკომენდაციაში კალიფორნიის სასამართლოს ქვევის კომისიის დირექტორმა, კერძოდ რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ " მოსამართლისათვის მიწოდებული ნებისმიერი ინფორმაცია პოტენციური დისციპლინური გადაცდომის შესახებ უნდა მოიცავდეს დეტალურ ინფორმაციას სავარაუდო დარღვევის შესახებ. მაგალითად, თუკი პოტენციური დარღვევა მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა, ან და არაადექვატური შესრულება იყო, ზუსტად უნდა იყოს ფორმულირებული მოსამართლის რომელი მოვალეობის, ან მოვალეობების დარღვევას ჰქონდა ადგილი და თუ რომელ საკანონმდებლო დოკუმენტს ეყრდნობა მითითებული მოვალეობა, და რა თქმა უნდა დეტალურად უნდა იყოს აღწერილი მოსამართლის ქცევა, რომელმაც

⁹ ვენეციის კომისიის დასკვნა №408/2006, სტრასბურგი, 19 მარტი, 2007 წელი;

¹⁰ ვენეციის კომისიის დასკვნა (იქვე);

¹¹ Всеобщая хартия судей, ст. 11, третий абзац, 1999 г;

¹² თურქმენეთის კანონი სასამართლოების შესახებ, თავი 6-ე, მუხლი 73-ე, 74-ე;

¹³ ამავე კანონის 73-ე მუხლის 1 ნაწილი;

¹⁴ ლიტვის რესპუბლიკა, კანონი სასამართლოების შესახებ, მუხლი 83-ე მუხლის 2-ე ნაწილი;

¹⁵ ესტონეთის კანონი "სასამართლოების შესახებ", მუხლი 87-ე;

გამოიწვია მოვალეობის დარღვევა). ამ ზომების მეშვეობით შეიძლება მოხდეს განუსაზღვრელობის, ბუნდოვანების საკითხის უფრო ეფექტურად გადაწყვეტა”.¹⁶

მიუხედავად ჯერ კიდევ ბოლომდე დაუხვეწავი საკანონმდებლო სისტემებისა, ყველა ზემოთ დასახელებული ქვეყნის კანონმდებლობისათვის მთავარი გამაერთიანებელი გახლავთ ერთსულოვანი დეკლარირება ანუ აღიარება - სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის შესახებ, რაც ყველა ქვეყნის კონსტიტუციითა და ეროვნული კანონმდებლობითაა აღიარებული და ასევე განმტკიცებულია გაეროს რეზოლუციით *”სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ”*,¹⁷ თუმცა რა ხარისხითა და დოზით ასრულებენ აღნიშნულ დათქმას რიგი სახელმწიფოები, ამას დეტალურად მიმოვიხილავთ თითოეული ქვეყნის მაგალითზე.

პირველი ქვეყანა, რომელსაც წარმოგიდგენთ, ქრონოლოგიურად, გახლავთ რუსეთის ფედერაცია. რაც შეეხება დისციპლინური სამართალწარმოების სფეროში ამ ქვეყნის საკანონმდებლო აქტებს, ისინი ძალზედ მწირედ გამოიყურება, რის შესახებაც ასევე, აღნიშნულია იურისტთა საერთაშორისო კომისიის მისიის დასკვნაშიც, კერძოდ, აღნიშნულ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ *”მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დისციპლინური საქმის წარმოების პროცედურების სამართლებრივი რეგულირება მიუხედავად ნორმატიული აქტების მოჩვენებითი სიმრავლისა, ისეთი დიდი ქვეყნისთვის, როგორც რუსეთია, არასაკმარისი და არაეფექტურია 30 000 (ოცდაათი ათასი) წევრიანი მოსამართლეთა კორპუსის კორპორატიული ინტერესების დასაცავად”*.¹⁸

➤ კერძოდ, დისციპლინურ სფეროში **რუსეთის ფედერაციის** დამოუკიდებელ ნორმატიულ აქტებს წარმოადგენს:

1. რუსეთის ფედერაციის კანონი *”მოსამართლეთა სტატუსის შესახებ”*;
2. რუსეთის ფედერაციის ფედერალურ კონსტიტუციური კანონი *”სადისციპლინო სასამართლოს შესახებ”*.¹⁹
3. დებულება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიის საქმიანობის წესის შესახებ”;²⁰

➤ **უკრაინის რესპუბლიკა:**

1. უკრაინის რესპუბლიკის კანონი *”სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ”*;
2. უკრაინის კანონი *”იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესახებ”*.²¹

¹⁶ *”სამოსამართლო ეთიკა და პასუხისმგებლობა”*, კონფერენცია მოსამართლის პროფესიის საკითხებზე, თბილისი, 2013 წლის 27-28 სექტემბერი;

¹⁷ გაეროს მე-7 კონგრესზე მიღებული რეზოლუცია, 1985 წლის 6 სექტემბერს, პუნქტი 1;

¹⁸ Дисциплинарное производство в отношении судей в Российской Федерации, Доклад миссии МКЮ Декабрь 2012, ISBN: 92-9037-168-4 http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT_rus.pdf ;

¹⁹ от 9 НОЯБРЯ 2009 ГОДА N 4-ФКЗ;

²⁰ Утверждено Высшей квалификационной коллегией судей Российской Федерации на основании статьи 14 Федерального закона «Об органах судейского сообщества в Российской Федерации» 22 марта 2007 года (в редакции решений Высшей квалификационной коллегии судей Российской Федерации от 17.02.2009, 12.02.2010, 25.05.2010, 11.04.2012, 25.01.2013, 24.10.2013);

➤ **ბელარუსის რესპუბლიკა:**

1. ბელარუსის რესპუბლიკის კანონი "ბელარუსის რესპუბლიკის სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" (1995 წლის 13 იანვარი);
2. ბელარუსის პრეზიდენტის დეკრეტი (4 დეკემბერი, 1997 წელი) – "ბელარუსის რესპუბლიკის მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიებისა მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ";
3. ბელარუსის პრეზიდენტის ბრძანებულება "ზოგიერთი ღონისძიებები ბელარუსის რესპუბლიკის მოსამართლეთა საქმიანობის მოწესრიგების შესახებ" (1997 წლის 4 დეკემბერი N626);
4. დებულება - "ბელარუსის რესპუბლიკის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ".²²

➤ **მოლდოვის რესპუბლიკა:**

1. მოლდოვის რესპუბლიკის კანონი "მოსამართლეთა დისციპლინური კოლეგიებისა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ";²³
2. მოლდოვის რესპუბლიკის კანონი "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ".²⁴

➤ **აზერბაიჯანის რესპუბლიკა:**

1. აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი სასამართლოებისა და მოსამართლეების შესახებ;²⁵
2. „კანონი იუსტიციის საბჭოს შესახებ“.²⁶

➤ **უზბეკეთის რესპუბლიკა**

1. უზბეკეთის რესპუბლიკის „ოლი მაჯლისის“ დებულება „მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შესახებ“;²⁷
2. უზბეკეთის რესპუბლიკის კანონი "მოსამართლეთა შესახებ".²⁸

²¹ Ведомости Верховной Рады Украины (ВВР), 1998, № 25, ст. 146; (С изменениями, внесенными Законами №4001-VI от 03.11.2011, № 4418-VI від 21.02.2012);

²² (დამტკიცებულია პრეზიდენტის 1997 წლის 4 დეკემბერი N626 ბრძანებულებით); მიუხედავად საკანონმდებლო აქტების სიმრავლისა, ბელარუსს არ გააჩნია სპეციალური კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, ისე როგორც მაგალითად მოლდოვას და ყირგიზეთს;

²³ ЗАКОН № 950 от 19.07.1996, ИЗМЕНЕН ЗП153 от 05.07.12, МО185/31.08.12;

²⁴ от 20 июля 1995 года №544-ХІІІ, 04.04.2014 г. №60 - ცვლილებებით;

²⁵ от 10 июня 1997 года №310-ІГ; 21.12.2012 г. №520-ІVQD) -ცვლილებებით;

²⁶ ЗАКОН АЗЕРБАЙДЖАНСКОЙ РЕСПУБЛИКИ О Судебно-правовом совете от 28 декабря 2004 года №818-ІІГ;

²⁷ 2007г., № 29-30 -ის მდგომარეობით, უზბეკეთის პარლამენტის დადგენილება;

²⁸ Закон Республики Узбекистан от 2 сентября 1993 года «О судах» 2014 г., № 4 -ის ცვლილებებით;

➤ **ყაზახეთი**

1. დებულება "მოსამართლეთა ჟიურის შესახებ";²⁹
2. ყაზახეთის კონსტიტუციური კანონი - "სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ".³⁰

➤ **ყირგიზეთი**

1. ყირგიზეთის კონსტიტუციური კანონი "ყირგიზეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა სტატუსის შესახებ".³¹
2. დებულება "სადისციპლინო კომისიის შესახებ".³²

➤ **სომხეთის რესპუბლიკა**

1. სომხეთის მოსამართლეთა კოდექსი;³³
2. კანონი მართლმსაჯულების საბჭოს შესახებ.³⁴

➤ **ტაჯიკეთი**

1. ტაჯიკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი "სასამართლოების შესახებ"³⁵

➤ **თურქმენეთი**

1. თურქმენეთის კანონი სასამართლოების შესახებ.³⁶

➤ **ლატვია**

1. ლატვიის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ.³⁷

➤ **ლიტვა**

1. ლიტვის რესპუბლიკა, კანონი სასამართლოების შესახებ;³⁸
2. სამოსამართლო ეთიკისა და სადისციპლინო კომისიის დებულება.³⁹

²⁹ დამტკიცებულია ყაზახეთის პრეზიდენტის 2012 წლის ბრძანებულებით;

³⁰ Конституционный закон Республики Казахстан от 25 декабря 2000 года N 132;

³¹ г.Бишкек от 9 июля 2008 года N 141;

³² - დამტკიცებულია მოსამართლეთა საბჭოს მიერ;

³³ СУДЕБНЫЙ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ АРМЕНИЯ , Принят 21.02.2007;

³⁴ გაუქმებულ იქნა სომხეთის პრეზიდენტის ბრძანებულებით - 7 апреля 2007 года гор. Ереван ЗР-137-Н; (მართლმსაჯულების საბჭოს საქმიანობა განსაზღვრულია ასევე, სომხეთის კონსტიტუციის 95-ე მუხლით);

³⁵ 2001 წლის 6 აგვისტოს № 30 კანონი, 2013 წლის ცვლილებებით;

³⁶ 2009 წლის 15 აგვისტოს № 49-IV კანონის რედაქცია;

³⁷ 1997 წლის 15 ივლისის კანონი, 2003 წლის 11 დეკემბრის რედაქცია;

³⁸ 2008 წლის მდგომარეობით;

➤ **ესტონეთი**

1. ესტონეთის კანონი "სასამართლოების შესახებ".⁴⁰

➤ **საქართველო**

1. საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ;⁴¹
2. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის საქმიანობის წესი.⁴²

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების მარეგულირებელი ნორმები და თავად დისციპლინური ორგანოების არჩევისა და საქმიანობის წესი, ასევე, გაწერილია ზოგიერთი ქვეყნის უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში. მაგალითად, სომხეთის კონსტიტუციის 55-ე, 83-ე, 95-ე მუხლები;⁴³ ასევე, ყირგიზეთის კონსტიტუციის 84-ე და 91-ე, 95-ე, 97-ე, 102-ე მუხლები;⁴⁴ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დისციპლინური ორგანოების საქმიანობისა და მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებელი ნორმების აკუმულირება ქვეყნის მთავარ კანონში სრულებითაც არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რამდენადაც, მაგალითად ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2007 წლის დასკვნაში ვკითხულობთ: "საკონსულტაციო საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების საბჭოს სხვადასხვა საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების საბჭოს კონსტიტუციურ როლთან და აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფუნქციები უნდა გაიწეროს კონსტიტუციაში, ძირითად კანონსა ან კონსტიტუციურ ინსტრუმენტში".⁴⁵

³⁹ **APPROVED** by Resolution No. 13P-226-(7.1.2) of 5 December 2008 of the Judicial Council (With amendments of the Resolution No. 13P-106-(7.1.2) of 26 June 2009 and Resolution No. 13P-77-(7.1.2) of 28 May 2010 of the Judicial Council);

⁴⁰ in force since 29 July 2002, RT I 2002, 64, 390, 2014 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, <https://www.riigiteataja.ee/en/eli/511072014010/consolide>

⁴¹ 2013 წლის 1 მაისის კანონი №581;

⁴² საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის 2013 წლის 21 ივლისის № 18 დადგენილება;

⁴³ მართლმსაჯულების საბჭოს არჩევის, ამ ორგანოს ფუნქციების, სომხეთის პრეზიდენტისა და სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული კრების მიერ დისციპლინურ ორგანოში 2-2 სწავლული იურისტის დანიშვნისა და არჩევის წესის და მართლმსაჯულების საბჭოს წინადადებით მიმართვის თაობაზე - მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ; (სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია მიღებულია 2005 წლის 27 ნოემბერს და მოქმედებს 2008 წელს განხორციელებული ცვლილებებით);

⁴⁴ დისციპლინური ორგანოს - მოსამართლეთა საბჭოს წინადადების საფუძველზე პრეზიდენტის მიერ - ყველა დონის მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ; ყირგიზეთის პარლამენტის "Жогорку Кенеша"-ის მიერ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ, მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოების: საერთო კრების, მოსამართლეთა ყრილობის და მოსამართლეთა საბჭოს არჩევისა და ფუნქციების შესახებ;

⁴⁵ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, #10, 23-27 ნოემბერი, 2007 წელი, სტრასბურგი, მუხლი 44.

2. სამოსამართლო ქცევის წესები

(მოსამართლეთა ეთიკა)

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2002 წლის დასკვნაში ხაზგასმულია, რომ "მოსამართლეთა ქცევის ეთიკური ასპექტების განხილვა აუცილებელია მთელი რიგი მიზეზების გამო. მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სასამართლო დავების გადაწყვეტის პროცესში, უნდა იწვევდეს ნდობას. უფლებამოსილებანი, რომლებითაც აღჭურვილი არიან მოსამართლეები, პირდაპირ უკავშირდება ისეთ ღირებულებებს, როგორცაა სამართლიანობა, სიმართლე და თავისუფლება. მოსამართლეების მიერ გამოყენებული ქცევის სტანდარტები სწორედ ამ ფასეულობებიდან გამომდინარეობს და მართლმსაჯულების განხორციელებისადმი ნდობის საფუძველს წარმოადგენს".⁴⁶ გარდა აღნიშნულისა, საკონსულტაციო საბჭომ თავის დასკვნაში მოგვიანებით, ასევე, მიუთითა, რომ "ეთიკისა და დისციპლინის საკითხების განხილვისას, ეს ორი თემა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს".⁴⁷ იმავე (2007 წლის) დასკვნაში საბჭო საუბრობს მოსამართლეთა ეთიკური ნორმების შემცველი ცალკე დისციპლინის არსებობის აუცილებლობაზე და აღნიშნავს, რომ "დისციპლინასა და პროფესიულ ეთიკას შორის დიფერენცირებისათვის საჭიროა მოსამართლეებს მივაწოდოთ პროფესიული ეთიკის პრინციპების მთელი კრებული, რაც უნდა ჩაითვალოს სამუშაო ინსტრუმენტად სამოსამართლო სწავლებასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში".⁴⁸

მიუხედავად საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების დასკვნებში დადგენილი ევროპული სტანდარტებისა, ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის სამოსამართლო ქცევის ეთიკური ნორმები ასიმულირებულია სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა პროფესიული სტატუსის განმსაზღვრელ საკანონმდებლო სივრცეში, ასე, მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკას, რომელმაც მოგვიანებით შეიმუშავა მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁴⁹ მოსამართლის ქცევის ეთიკური ნორმების ძირითადი პოსტულატები კვლავ გაწერილია სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსში და დღემდე მათი დიფერენცირება არ მომხდარა.⁵⁰ კერძოდ, სომხეთის მოსამართლეთა კოდექსის მე-12 თავი, რომლის სათაურია: "მოსამართლეთა ქცევის წესები" მთლიანად დათმობილი აქვს მოსამართლეთა ქცევის ეთიკურ ნორმებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა როგორც სამოსამართლო საქმიანობის პროცესში მართლმსაჯულების განხორციელებისას, ისე სასამართლოს გარეთ. კერძოდ, კანონში ვკითხულობთ: "მოსამართლე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ასევე მის გარეთ, ვალდებულია თავიდან აიცილოს ყოველივე, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს, მოსამართლის ღირსებას და ეჭვი შეიტანოს მის ობიექტურობაში, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობაში". აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სომხეთის კანონმდებლობა მოსამართლეს გარკვეულ შეზღუდვებს უწესებს სამოსამართლო უფლებამოსილების ვადის გასვლის შემდგომაც, მაგალითად, "მოსამართლეს უფლება არა აქვს გაახმაუროს თათბირისა და კენჭისყრის საიდუმლოება ან ცნობები, რომლებიც მოპოვებულ იქნა საქმის განხილვის დახურულ სხდომაზე, როგორც თანამდებობაზე ყოფნისას, ისე პენსიაზე ყოფნის დროს", ასევე, "მოსამართლე

⁴⁶ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, (№ 3), სტრასბურგი, 19 ნოემბერი, 2002 წელი, მუხლი 8;

⁴⁷ საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, მუხლი 57. (სტრასბურგი, 2007 წლის 21-23 ნოემბერი);

⁴⁸ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, #10, მუხლი 58, 23-27 ნოემბერი, 2007 წელი, სტრასბურგი;

⁴⁹ სომხეთის რესპუბლიკის ეთიკის კოდექსის ავთენტური ტექსტის ელექტრონული ვერსიის მოძიება თუნდაც რუსულ ენაზე, ინტერნეტის ვებგვერდზე არ მოხერხდა;

⁵⁰ Судебный кодекс Республики Армения от 21 февраля 2007 г. URL: <http://www.court.am>

ვალდებულია მკაცრად დაიცვას ეთიკისა და მორალის ნორმები, მოსამართლეს ეკრძალება ნებისმიერი ფორმით საჯაროდ გამოხატოს უპატივცემულობა კანონის ან სომხეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური წყობილების მიმართ. იმავდროულად აკრძალულია ყველანაირი ქმედება, რომლებსაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ სახელმწიფოსა და სასამართლოს ავტორიტეტს”.⁵¹ აღნიშნული კანონი სპეციფიკურია იმითაც, რომ ამ კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი ნორმის დაცვის ვალდებულება ეკისრებათ ასევე, მოსამართლეთა ახლო ნათესავებს (ოჯახის წევრებს);⁵² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა დანარჩენი ქვეყნების შემთხვევაში მსგავსი შეზღუდვები თითქმის არ გვხვდება; როდესაც ვსაუბრობთ სომხეთის სამოსამართლო ქცევის წესების თავისებურებებზე, აღნიშნულ კონტექსტში არ შეიძლება არ შევხვით ასევე, ამ ქვეყნის დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებასაც, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლო ხელისუფლების მუდმივმოქმედი თვითმმართველობის ორგანოში, როგორცაა სასამართლოს თავმჯდომარეთა საბჭო, ასევე ფუნქციონირებს მოსამართლეთა ეთიკის კომისია, რომელიც იხილავს მოსამართლის მიერ ეთიკის კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დარღვევის საკითხებს, რომელთა შესახებაც განცხადებით მიმართავს სასამართლოს თავმჯდომარეთა საბჭო ასეთი დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში.⁵³ სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსი სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან იმითაც განსხვავდება, რომ მოსამართლის მიერ დისციპლინის დარღვევის საკითხებს ჯერ ეთიკის კომისია სწავლობს და შემდეგ ეს კომისია გადაწყვეტს, გადაუზღავნოს თუ არა საქმე მართლმსაჯულების საბჭოს სადისციპლინო კომიტეტს. კერძოდ, კანონის თანახმად, როდესაც ეთიკის კომისია მიიღებს შეტყობინებას ან თავად აღმოაჩენს მოსამართლის მიერ სამუშაო დისციპლინის ან ქცევის წესების დარღვევის ფაქტს, კომისია გაესაუბრება მოსამართლეს. თუ ამ გასაუბრების შედეგად ეთიკის კომისია დაადგენს, რომ გადაცდომები არც მძიმეა და არც რეგულარული, შემოიფარგლება მხოლოდ გასაუბრებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ეთიკის კომისია წარადგენს მოთხოვნას მართლმსაჯულების საბჭოს სადისციპლინო კომიტეტში დისციპლინური სამართალწარმოების აღძვრის თაობაზე.⁵⁴

აღნიშნული საკანონმდებლო აქტით გათვალისწინებულია არათუ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობა, არამედ მოსამართლეთა სკოლის მსმენელთა დისციპლინური პასუხისმგებლობა და შესაბამისი სანქციები, სკოლიდან გარიცხვის სახით. მოცემულ საკითხს განიხილავენ მოსამართლეთა სკოლის წესდებით დადგენილი წესით.⁵⁵ როგორც უკვე აღვნიშნეთ, მსგავსი ნორმა არ არის გათვალისწინებული ქვემოთ განხილული არცერთი სხვა ქვეყნის კანონმდებლობით.

რაც შეეხება დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნების სამოსამართლო ეთიკას, უმრავლეს შემთხვევაში, მოსამართლეთა ქცევის წესები დარეგულირებულია სპეციალური კანონით ან დებულებით, როგორცაა მაგალითად, **ყაზახეთის** მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁵⁶ **ბელარუსის** რესპუბლიკის მოსამართლეთა ღირსების კოდექსი,⁵⁷ **ყირგიზეთის** მოსამართლეთა ღირსების კოდექსი,⁵⁸

⁵¹ სომხეთის რესპუბლიკის კანონი ”მოსამართლის სტატუსის შესახებ”, მუხლები მე-14, მე-15;

⁵² იქვე, თავი მე-12, მუხლები: 88-ე, 89-ე, 90-ე, 91-ე, 92-ე;

⁵³ იქვე, მუხლი 72-ე, 73-ე;

⁵⁴ სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსი, 154-ე მუხლის მე-2 ნაწილი (მიღებულია 21.02.2007 წელს);

⁵⁵ იქვე, მოსამართლეთა კოდექსის 184-ე მუხლი;

⁵⁶ Кодекс судейской этики Принят на V съезде судей Республики Казахстан 18 ноября 2009 года;

⁵⁷ КОДЕКС ЧЕСТИ СУДЬИ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ, принят на первом съезде судей Республики Беларусь 5 декабря 1997 г.

⁵⁸ Принят на V съезде судей Кыргызской Республики 8 июля 2006 года;

ყირგიზეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი (კვლევისას გამოყენებული იქნა ასევე, პროექტი),⁵⁹ რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁶⁰ უკრაინის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁶¹ მოლდოვას მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის კოდექსი,⁶² ლატვიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁶³ ესტონეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁶⁴ ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი,⁶⁵ ასევე, ლიტვის სამოსამართლო ეთიკისა და სადისციპლინო კომისიის დებულებები⁶⁶ და საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები.⁶⁷ რაც შეეხება აზერბაიჯანის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსს, კვლევისას ამ დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის მოპოვება ვერ მოხერხდა ობიექტურ მიზეზთა გამო; ასევე, ვერ იქნა მოძიებული თურქმენეთისა და ტაჯიკეთის მოსამართლეთა ქცევის მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტების თუნდაც ელექტრონული ვერსია, სავარაუდოდ, დასახელებულ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს ცალკე საკანონმდებლო აქტი სამოსამართლო ქცევის (ეთიკის) სფეროში არ გააჩნიათ, რის შესახებაც ასევე აღნიშნულია ევროპის საბჭოს მიერ დაფინანსებულ ერთ-ერთ საექსპერტო კვლევაში - "კანონის უზენაესობის პლატფორმა - ცენტრალური აზია", 2014 წელი.⁶⁸ კერძოდ, კვლევაში ვკითხულობთ, რომ "თურქმენეთში სასამართლო ხელისუფლების შესახებ ნორმატიულ-საკანონმდებლო აქტებს წარმოადგენს: 2008 წლის 25 სექტემბრის კონსტიტუციის მე-6 თავი და 2009 წლის კანონი მოსამართლეთა შესახებ. სამწუხაროდ, სხვა კანონქვემდებარე აქტების მოძიება ვერ მოხერხდა". ამავე დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ თურქმენეთის კანონი "მოსამართლეთა შესახებ", არ შეიცავს კონკრეტულ ღონისძიებებს მოსამართლეების ნეპოტიზმის, კორუფციისა და არასათანადო გავლენისაგან დასაცავად, გარდა საკმაოდ ზოგადი წესებისა, რომ მოსამართლეებმა თავი უნდა შეიკავონ ისეთი ქცევისაგან, რომელიც შეუფერებელია მოსამართლის მაღალი რეპუტაციასა და წოდებასთან".⁶⁹ კერძოდ, თურქმენეთის კანონი "მოსამართლეთა შესახებ", მუხლი 64-ე განსაზღვრავს მოსამართლის ცალკეულ ვალდებულებებს, როგორცაა მაგალითად: "მოსამართლის მოვალეობა, მკაცრად შეასრულოს კანონის მოთხოვნები, დაიცვას მოქალაქის უფლებები და თავისუფლებები, მათი პატივი და ღირსება, სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესები, რაც გარანტირებულია კანონით; დაიცვას სასამართლო სისტემის მაღალი კულტურა და საგანმანათლებლო გავლენა, იყოს სამართლიანი და ჰუმანური. ამავე კანონით, "მოსამართლე თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, ასევე მის გარეთ, ვალდებულია თავიდან აიცილოს

⁵⁹ ყირგიზეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსზე მუშაობა ჯერ არ დასრულებულა, რის შესახებაც ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://slovo.kg/?p=17117> Электронная почта: info@slovo.kg В рамках плана работ по реализации меморандума созданы совместные рабочие группы для совершенствования Кодекса чести судьи КР и по разработке специального курса по обучению Бангалорским принципам поведения судей в рамках реализации Концепции обучения судейской этике. Материал за: 2 апреля 2013 года.

⁶⁰ Утвержден VIII Всероссийским съездом судей 19 декабря 2012 года;

⁶¹ УТВЕРЖДЕНО XI очередным съездом судей Украины 22 февраля 2013;

⁶² принят на конференции судей 4 февраля 2000 года;

⁶³ Adopted in the Conference of Judges of the Republic of Latvia on April 20, 1995;

⁶⁴ Estonia Judges Code of Ethics, added December 2009.

⁶⁵ APPROVED General Meeting of Judges in 2006 June 28 Decision 12 P -8;

⁶⁶ APPROVED The Judicial Council in 2013 February 1 Resolution Nr.13P -9 - (7.1.2);

⁶⁷ მიღებულია საქართველოს მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 2006 წელს;

⁶⁸ Экспертное исследование д-р Вим Альберт Тиммерманс (Лейден, Нидерланды), 2014, <http://ruleoflaw.eu/wp-content/uploads/2014/04/Independence-of-the-judiciary-in-the-Central-Asian-States-RU-reduced.pdf>, მუხლი 428. გვ. 74. გვ. 58.

⁶⁹ იქვე, მუხლი 423, გვ. 73;

ყოველივე, რასაც შეუძლია ზიანი მიაყენოს სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტს, მოსამართლის ღირსებას და ეჭვი შეიტანოს მის ობიექტურობაში, სამართლიანობასა და მიუკერძოებლობაში. გარდა ამისა, მოსამართლეს და მსაჯულებს უფლება არა აქვთ გაახმაურონ თათბირის საიდუმლოება ან დოკუმენტები, რომლებიც მოპოვებულ იქნა საქმის განხილვის დახურულ სხდომაზე”.⁷⁰ ხოლო რაც შეეხება კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას - უზბეკეთს, სპეციალური კანონით დარეგულირებულია მხოლოდ უზბეკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ქცევის წესები, კერძოდ, ეს გახლავთ უზბეკეთის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეთა ღირსების კოდექსი,⁷¹ ხოლო რაც შეეხება დანარჩენი მოსამართლეების ქცევის განმსაზღვრელ ეთიკურ ნორმებს, აღნიშნული გაწერილია უზბეკეთის რესპუბლიკის კანონის ”მოსამართლეთა შესახებ”, - მხოლოდ ორ მუხლში, (მუხლები 65-ე და 66-ე), სადაც ვკითხულობთ, რომ ”მოსამართლეებმა მკაცრად უნდა დაიცვან მოსამართლის ღირსება, მოსამართლის ეთიკური ქცევის წესები, თავი შეიკავონ ისეთი მოქმედებებისაგან, რომელთაც შეუძლიათ ზიანი მიაყენონ მართლმსაჯულების ავტორიტეტს და ეჭვქვეშ დააყენონ მისი ობიექტურობა”;⁷² უზბეკეთის რესპუბლიკის, ისევე, როგორც მაგ. ტაჯიკეთის და თურქმენეთის მოსამართლეთა ეთიკური სტანდარტების სპეციალური დისციპლინის არ არსებობა შეუსაბამოა საერთაშორისო სტანდარტებთან, კერძოდ, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნაში ვკითხულობთ, რომ ”დისციპლინასა და პროფესიულ ეთიკას შორის დიფერენცირებისათვის საჭიროა მოსამართლეებს მივაწოდოთ პროფესიული ეთიკის პრინციპების მთელი კრებული, რაც უნდა ჩაითვალოს სამუშაო ინსტრუმენტად სამოსამართლეო სწავლებასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში”.⁷³ იგივე შეიძლება ითქვას ყირგიზეთის რესპუბლიკაზეც, რომელსაც დღემდე არ გააჩნია მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი (არსებობს მხოლოდ ეთიკის კოდექსის პროექტი), ხოლო რაც შეეხება ქვეყანაში მოქმედ მოსამართლეთა ღირსების კოდექსს, რომელიც სხვა ქვეყნის ეთიკის კოდექსის მსგავსად შეიცავს მოსამართლეთა ქცევის განმსაზღვრელ სტანდარტულ ფორმულირებებს (დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, პატიოსნება, ადამიანის უფლებების დაცვა, სასამართლოს რეპუტაციის, მოსამართლის ღირსებისა და პატივის დაცვა, პროფესიული საიდუმლოების დაცვა, მოსამართლისათვის შეუთავსებელი საქმიანობის, ასევე, ანაზღაურებადი საქმიანობის აკრძალვა, უარი საჯარო კომენტარებზე, პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ფინანსურ საქმიანობაზე და ა.შ.),⁷⁴ აღნიშნული საკანონმდებლო აქტი პროფესიული და ეთიკური ქცევის წესებთან ერთად იმავდროულად შეიცავს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებისა და დისციპლინური სახდელის სახეების დამდგენ ნორმებსაც, უფრო მეტიც, დოკუმენტში ლაპარაკია იმ გარემოებებზეც კი, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს სადისციპლინო ორგანოს მიერ მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას, ასე, მაგალითად, ყირგიზეთის ღირსების კოდექსში ვკითხულობთ: ”მოსამართლეს სამსახურებრივი გადაცდომისა ან შეუფერებელი საქციელისათვის, ასევე, საქმის განხილვისას კანონიერების დარღვევისათვის ეკისრება პასუხისმგებლობა, რაც გათვალისწინებულია დებულებით: ” ყირგიზეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ”, მოსამართლის გადაცდომა - ეს არის მოსამართლის პატივისა და ღირსების შეურაცხყოფელი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც, თუმცა არ არის დანაშაული, მაგრამ თავისი ბუნებით შეუთავსებელია მოსამართლის მაღალ წოდებასთან, უსამართლო განაჩენები, განჩინებები და გადაწყვეტილებები - იწვევს დისციპლინური სახდელის დაკისრებას - შენიშვნის ან საყვედურის ანდა მოსამართლის თანამდებობიდან

⁷⁰ თურქმენეთის 2009 წლის 15 აგვისტოს № 49-IV კანონი ”მოსამართლეთა შესახებ”, თავი 4-ე, მუხლი 64;

⁷¹ утверждён решением Конституционного суда Республики Узбекистан от 30 января 2004 года № 2);

⁷² ЗАКОН РЕСПУБЛИКИ УЗБЕКИСТАН «О СУДАХ» новая редакция, 2014 წლის მდგომარეობით;

⁷³ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, #10, მუხლი 58, 23-27 ნომბერი, 2007 წელი, სტრასბურგი;

⁷⁴ КОДЕКС ЧЕСТИ СУДЬИ КЫРГЫЗСКОЙ РЕСПУБЛИКИ, Статья 4,5,6,7;

გათავისუფლების შესახებ საკითხის დაყენების სახით”.⁷⁵ იგივე პუნქტებს შეიცავს ყირგიზეთის რესპუბლიკის ეთიკის კოდექსის პროექტიც,⁷⁶ რომელიც ასევე შეუსაბამოა ზემოდასახელებულ საერთაშორისო დოკუმენტთან, სადაც საუბარია დისციპლინისა და ეთიკის ნორმების გამიჯვნაზე, თუმცა როგორც ყირგიზეთის ბოლოდროინდელი პრესა იუწყება, ქვეყანა მზადაა შეიმუშავოს ახალი ეთიკის კოდექსი და შესაბამისობაში მოიყვანონ იგი ”მოსამართლეთა ბანგალორის პრინციპებთან;”⁷⁷

რაც შეეხება კიდეც ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის, რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა ეთიკას, როგორც იუწყებიან, ”პირველი კოდიფიცირებული კანონი მოსამართლეთა ეთიკის შესახებ, რუსეთში მიღებული იქნა ჯერ კიდეც 1885 წლის 20 მაისს. ამ კანონით მოსამართლის წოდებასთან შეუფერებელ და უღირს ქმედებად ცხადდებოდა ყველანაირი ქმედება, რომელიც შეუსაბამო იყო მორალთან და ზნეობასთან. კანონში მითითებული მორალური წესები ემყარებოდა პიროვნების ზნეობრივ თვისებებს, რომლებიც აუცილებელია მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად და სამოსამართლო მოვალეობების შესასრულებლად”⁷⁸ ხოლო, რაც შეეხება დღეს მოქმედი ეთიკის კოდექსის თავისებურებას, შეიძლება მხოლოდ ისეთი დეტალის გამოყოფა, როგორცაა მაგალითად, სამოსამართლო ქცევის ეთიკური და პროფესიული ქცევის წესების გაერთიანება ერთ საკანონმდებლო სივრცეში, (თუმცა ამ მხრივ გამონაკლისს არც სხვა ქვეყნები არ წარმოადგენენ), კერძოდ რუსეთის ეთიკის კოდექსის მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12 მუხლებში საუბარია მოსამართლის ისეთ ფუნდამენტურ პროფესიულ მოვალეობებზე, როგორცაა: დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, ფიცის ერთგულება, თათბირის საიდუმლოების დაცვა, თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვა და ა.შ. რაც ისედაც გაწერილია მოსამართლეთა შესახებ ორგანულ კანონში.⁷⁹ თუმცა აღნიშნული კოდექსი საინტერესო ჩანაწერსაც შეიცავს, რაც უდაოდ ზრდის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხარისხს, მაგალითად, ”ყველა მოსამართლეს აქვს უფლება თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი. ეს უფლება გულისხმობს დაიცვას საკუთარი მოსაზრების თავისუფლება, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეა საჯარო ხელისუფლების მხრიდან რაიმე სახის ჩარევის გარეშე და სახელმწიფო საზღვრებისგან დამოუკიდებლად;”⁸⁰

იგივე შეიძლება ითქვას მოლდოვას მოსამართლეთა ეთიკის კოდექსზეც⁸¹, რომელიც ეთიკურ წესებთან ერთად, ასევე, შეიცავს მოსამართლის პროფესიულ მოვალეობათა სოლიდურ ჩამონათვალს, ასე, მაგალითად მოლდოვას რესპუბლიკის ეთიკის კოდექსში ვკითხულობთ:

”მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მოსამართლე პატივს სცემს მისთვის მოლდოვას რესპუბლიკის კონსტიტუციით მინიჭებულ დამოუკიდებლობას;

⁷⁵ КОДЕКС ЧЕСТИ СУДЬИ КЫРГЫЗСКОЙ РЕСПУБЛИКИ, Статья 8. (Принят на V съезде судей Кыргызской Республики 8 июля 2006 года);

⁷⁶ КОДЕКС СУДЕЙСКОЙ ЭТИКИ КР(Проект);

⁷⁷ იხ. ზემოთ პარაგრაფი - 42;

⁷⁸ სადისერტაციო ნაშრომი ”Этика судьи – лицо правосудия”, ვებ.პორტალი - http://otherreferats.allbest.ru/law/00201684_0.html

⁷⁹ რუსეთის ფედერაციის სამოსამართლო ეთიკის კოდექსი, დამტკიცებულია სრულიად რუსეთის მოსამართლეთა მე-8 ყრილობის მიერ, 19 დეკემბერი, 2012 წელი;

⁸⁰ იქვე, მუხლი 22;

⁸¹ მოლდოვას რესპუბლიკის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ავთენტური ტექსტის მოძიება ვერ მოხერხდა, კვლევისას გამოყენებული იქნა ”მოლდოვას მოსამართლეთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მიღებული 2000 წლის 4 თებერვალს, მოსამართლეთა კონფერენციის მიერ (ელექტრონული ვერსია, სადისერტაციო ნაშრომი, ”მოლდოვას მოსამართლეთა პროფესიული ეთიკა”), http://otherreferats.allbest.ru/law/00087029_0.html

მოსამართლე პატივს სცემს და სწორედ იყენებს კანონს, ის ყოველთვის მოქმედებს ისე, რომ არ დაირღვეს მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები;

სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას მოსამართლე არ უნდა მოექცეს სახელისუფლებო ან მმართველი სტრუქტურების, საზოგადოებრივი აზრის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ან კერძო პირების გავლენის ქვეშ;

მოსამართლე გადაწყვეტილებას ღებულობს ერთპიროვნულად, შინაგანი რწმენის საფუძველზე, სხვა მოსამართლეთა მოსაზრებებისგან დამოუკიდებლად, რაც არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით;

მოსამართლე თავისი მოვალეობების შესრულებისას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უნდა ხელმძღვანელობდეს იმით, რომ ადამიანისა და მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა განსაზღვრავს სასამართლო ხელისუფლების ორგანოთა მოღვაწეობის არსს. მოსამართლემ კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს თავისი პროფესიული მოვალეობები და მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საქმისა და მასალების დროული განხილვისათვის;

საქმის განხილვის პროცესში მოსამართლემ ყურადღება უნდა მიაქციოს სასამართლო პროცესის წარმართვის და თავისი აზრების გამოთქმის კულტურას, გამოიჩინოს კორექტულობა და პუნქტუალურობა;

მოსამართლე ვალდებულია იყოს მიუკერძოებელი, არ დაუშვას ზეგავლენა თავის პროფესიულ საქმიანობაზე ვისი მხრიდანაც არ უნდა მოდიოდეს იგი. მოსამართლემ, თავისი მოვალეობების შესრულებისას არ უნდა გამოავლინოს დისკრიმინაცია რასობრივი, სქესობრივი, რელიგიური ან ეროვნული ნიშნით. საზოგადოებრივმა აზრმა, მოსამართლის საქმიანობის შესაძლო კრიტიკამ გავლენა არ უნდა მოახდინოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებასა და საფუძვლიანობაზე;

მოსამართლემ საპროცესო დოკუმენტები უნდა გააფორმოს კანონთან მკაცრ შესაბამისობაში, გამოიყენოს ისეთი ტერმინები და განმარტებები, რომლებიც შეესაბამება სახელმწიფო ენის მოთხოვნებს და გასაგებია ყველასთვის.

გარდა პროფესიული უნარ-ჩვევებისა, მოლდოვას მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი ასევე შეიცავს მოსამართლის ეთიკური ქცევის ნორმებსაც. ასე, მაგალითად, კოდექსში ვკითხულობთ, რომ

მოსამართლე უნდა იყოს მომთმენი, თავაზიანი, ტაქტიანი და პატივი სცეს სასამართლო სხდომის მონაწილეებს. მოსამართლემ ანალოგიური საქციელი უნდა მოსთხოვოს სამართალწარმოების ყველა მონაწილეს.

სასამართლო სხდომის გარეთ მოსამართლემ თავიდან უნდა აირიდოს ნებისმიერი საუბრები პროცესის მონაწილეებთან ან სხვა პირებთან, რომლებიც დანიშნულები არიან საქმის მოსასმენად. მოსამართლემ თავისი საქციელით, დისციპლინურობით, კულტურის დონით და კომუნიკაბელურობით მაგალითი უნდა მისცეს სასამართლო ინსტანციის სხვა მუშაკებს.

არასამუშაო დროს მოსამართლემ თავისი ქცევით ზიანი არ უნდა მიაყენოს მოსამართლოს წოდებას;

მოსამართლემ არ უნდა გაუწიოს კონსულტაციები კონფლიქტურ სიტუაციებში არც წერილობითი და არც ზეპირი ფორმით არავის გარდა თავისი ოჯახის წევრებისა;

მოსამართლემ არ უნდა გააკეთოს საჯარო განცხადებები საქმესთან დაკავშირებით, სანამ გადაწყვეტილება არ შევა კანონიერ ძალაში;

მოსამართლეს არა აქვს უფლება ეწეოდეს ფინანსურ-კომერციულ საქმიანობას, იყენებდეს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას, სარგებლობდეს კრედიტებით, იღებდეს საჩუქრებს და ა.შ.

მოსამართლეს უფლება არა აქვს საჯაროდ გამოხატოს თავისი მოსაზრება ქვეყანაში მიმდინარე საშინაო პოლიტიკის საკითხებთან და ეწეოდეს აგიტაციას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რათა არავის მიეცეს საბაზი, ეჭვი შეიტანონ მასში, რომ იგი მოექცა ვინმეს იდეოლოგიური გავლენის ქვეშ. მოსამართლეს არა აქვს უფლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან მოძრაობის წევრი, მატერიალურად ან სხვაგვარად დაეხმაროს მათ, საჯაროდ გამოთქვას თავისი პოლიტიკური შეხედულება, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკური ხასიათის მსვლელობებში ან დემონსტრაციებში, ან სხვა პოლიტიკურ აქციებში”.

სხვა ქვეყნების მოსამართლეთა ეთიკის კოდექსისგან განსხვავებით საინტერესო დათქმას შეიცავს უკრაინის მოსამართლეთა ქცევის კოდექსი, სადაც საუბარია მოსამართლის უფლებაზე, ”ისარგებლოს სოციალური ქსელებით, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა ინტერნეტ-ფორუმებში, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება და გააკეთოს კომენტარები ამა თუ იმ საკითხებთან, რომელიც ზიანს არ მიაყენებს სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის ავტორიტეტს, რაც ვფიქრობ, კიდევ უფრო ზრდის მოსამართლის დამოუკიდებლობის ხარისხს.⁸²

ასევე, ერთობ სპეციფიკური და საინტერესო ჩანაწერია ბელარუსის მოსამართლეთა ღირსების კოდექსში, მუხლი 5-ე, რომლის სათაურია *”მოსამართლის ურთიერთობის კულტურა”*, რომელიც ადგენს მოსამართლის ურთიერთობის წესებს ადამიანებთან, როგორც სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ისე სასამართლოს გარეთ, კერძოდ ამ მუხლში ვკითხულობთ, რომ *”მოსამართლემ უნდა დაიცვას ქცევის საყოველთაოდ მიღებული წესები, იქცეოდეს ღირსეულად, მოსამართლე უნდა გამოირჩეოდეს თავაზიანი, კორექტული მიმართვებით, მოთმინებით, პრინციპულობით, ისწრაფოდეს საქმის არსის ღრმად გარკვევისაკენ, შესწევდეს უნარი მოუსმინოს თანამოსაუბრეს და გაიგოს მისი პოზიცია, დაიცვას ბალანსი და იყოს არგუმენტირებული გადაწყვეტილების მიღებისას. მოსამართლის ასეთი მოქმედების მიზანი უნდა იყოს, მიბაძონ მას თავისმა კოლეგებმა, სასამართლოს აპარატის თანამშრომლებმა და სხვა მოქალაქეებმა.”⁸³* თუმცა როგორც ვხედავთ ბელარუსის შემთხვევაშიც, ეთიკის კოდექსი ასევე, გაჯერებულია მოსამართლის იმ ძირითადი პროფესიული მოვალეობებით, რაც ისედაც გაწერილია ბელარუსის კანონით სასამართლო წყობილებისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ”.

როგორც ვხედავთ თითქმის ყველა ჩვენს მიერ განხილული ქვეყნის ეთიკის კოდექსი შეიცავს მოსამართლეთა ქცევის სტანდარტულ წესებს, რის შესახებაც ასევე ხაზგასმულია ვენეციის კომისიის 2007 წლის 19 მარტის დასკვნაში: *”მიუხედავად იმისა, რომ დისციპლინური სამართალწარმოების საფუძვლები ყველა ქვეყანაში სხვადასხვაა, მაინც შეიძლება მათ შორის გარკვეული საერთო ნიშნების მოძიება. მაგალითად, კანონმდებლობა მოსამართლეთა ქცევისა თუ ეთიკის შესახებ, ზოგადად, ითხოვს მოსამართლეთაგან, თავი შეიკავონ ისეთი ქმედებებისაგან, რომლებიც*

⁸² უკრაინის ეთიკის კოდექსი, მუხლი 20;

⁸³ КОДЕКС ЧЕСТИ СУДЬИ РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ, Статья 5. Культура общения судьи;

მართლმსაჯულების სისტემის ერთიანობისა და დამოუკიდებლობის კომპრომეტირებას ახდენს, უზრუნველყონ თავიანთი მოვალეობების ჯეროვანი შესრულება, თავიანთი ქცევით ზიანი არ მიაყენონ სასამართლო სისტემის რეპუტაციას, ვადების დარღვევის გარეშე მიიღონ გადაწყვეტილებები”.⁸⁴

რაც შეეხება ცენტრალური აზიის კიდევ ერთი ქვეყნის - ყაზახეთის სამოსამართლო ეთიკას, მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის პრეამბულაში ლაპარაკია საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებზე,⁸⁵ აღნიშნული ეთიკის კოდექსი გარდა იმისა, რომ მოსამართლეთა ქცევის სტანდარტულ ნორმებს შეიცავს ასევე, საკანონმდებლო აქტში საუბარია მოსამართლის მოსალოდნელ პასუხისმგებლობაზეც, კერძოდ, ” თუკი მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე დაარღვევს ამ კანონის მოთხოვნებს, მის მიმართ გამოყენებული იქნება მოსამართლეთა ეთიკის კომისიის დებულებით გათვალისწინებული საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები”⁸⁶ ასევე, კოდექსი შეიცავს ერთგვარ ბუნდოვან დათქმასაც, რომელიც ირიბად მიანიშნებს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობაზე, კერძოდ, ვკითხულობთ, რომ ”ამ კოდექსის გამოყენებისას გათვალისწინებული იქნება ჩადენილი ქმედების ყველა გარემოება, სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მოსამართლის წოდებისათვის მიყენებული ზიანი, მოსამართლის პიროვნება და მისი კავშირი ჩადენილ ქმედებასთან”. მაშინ როდესაც ანალოგიურ ფორმულირებას ითვალისწინებს ყაზახეთის რესპუბლიკის კანონი ”სასამართლო სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ”, სადაც ლაპარაკია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე. ⁸⁷ რაც შეეხება ყაზახეთის მოსამართლეთა ქცევის წესებს, მათ შესახებ ეთიკის კოდექსში გაწერილია შემდეგი: ”მოსამართლე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ყაზახეთის კონსტიტუცია და კანონები, იყოს მოსამართლის ფიცის ერთგული თავისი კონსტიტუციური მოვალეობების შესრულებისას, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში. სასამართლოს გარეთ მოსამართლე ვალდებულია დაიცვას სამოსამართლო ეთიკის ნორმები და თავიდან აიცილოს ყველაფერი, რამაც შეიძლება შეზღავდოს მოსამართლის ავტორიტეტი, ღირსება ან ეჭვქვეშ დააყენოს მისი პატიოსნება, სამართლიანობა, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა. ამასთან ერთად, მოსამართლე, როგორც სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელი ვალდებულია წინ აღუდგეს კორუფციის ნებისმიერ გამოვლინებას და მართლმსაჯულების განხორციელებისას მის საქმიანობაში უკანონო ჩარევის მცდელობას, აგრეთვე, დაიცვას მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოება.”⁸⁸

რაც შეეხება ბალტიისპირეთის ქვეყნების სამოსამართლო ქცევის წესებს, მიუხედავად იმისა, რომ ლიტვამ, ლატვიამ და ესტონეთმა, როგორც ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა გაცილებით ადრეულ ეტაპზე დაიწყეს ევროპული სტანდარტების შემცველი საერთაშორისო ნორმების იმპლემენტაციის პროცესი თავისი ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში ვიდრე ზემოთ განხილულმა აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებმა (უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა) ან თუნდაც ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა (ყაზახეთი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი), უნდა

⁸⁴ (ვენეციის კომისიის 2007 წლის 19 მარტის # 408/206 დასკვნა, სტრასბურგი) პუნქტი 7;

⁸⁵ ”მოსამართლეთა ეთიკის ეს კოდექსი ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციის, ყაზახეთის კონსტიტუციური კანონის, ყაზახეთის რესპუბლიკის სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციების - 40/32 და 40/146, სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ, მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპების შესაბამისად, ადგენს მოქმედი და ყოფილი მოსამართლეების ქცევის ეთიკურ სტანდარტებს”;

⁸⁶ ყაზახეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 7; (მიღებულია მოსამართლეთა მე-5 ყრილობაზე, 2009 წლის 18 ნოემბერს);

⁸⁷ ყაზახეთის რესპუბლიკის კანონი ”სასამართლო სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ”, მუხლი 40, ნაწილი 2;

⁸⁸ ყაზახეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 1-6;

ითქვას, რომ არსებითი განსხვავება მოსამართლეებისთვის დადგენილ სავალდებულო ეთიკურ ნორმებში ამ ქვეყნებს შორის არ შეინიშნება თუ არ ჩავთვლით ცალკეულ დეფინიციათა ოდნავ განსხვავებულ ინტერპრეტაციას. ასე, მაგალითად, ესტონეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, რომელიც შედგება 32 პუნქტისაგან,⁸⁹ სტანდარტულად ადგენს, რომ **”1. მოსამართლე ვალდებულია გაუფრთხილდეს სასამართლო სისტემის ღირსებასა და დამოუკიდებლობას; 2. მოსამართლე ვალდებულია მასზედ დაკისრებული ფუნქციები შეასრულოს მიუკერძოებლად პირადი გამორჩენის გარეშე, ყურადღებით და კეთილსინდისიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება; 3. მოსამართლეს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს კანონების შექმნასა და კანონმდებლობის გაუმჯობესებაში, საკანონმდებლო და იურიდიული სისტემების გაუმჯობესებასაში, სასწავლო და კვლევით საქმიანობაში; 4. მოსამართლეს ასევე, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ და საქველმოქმედო ღონისძიებებში ისე, რომ თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი; 5. მოსამართლემ თავი უნდა აარიდოს უადგილო მოქმედებებსა და გამონათქვამებს. მოსამართლე ვალდებულია მოიქცეს ისე, როგორც კანონის მსახურის ღირსების კოდექსს შეეფერება; 6. მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს პოლიტიკური საქმიანობისა და გამონათქვამებისაგან, რომლებიც ასახავს მის პოლიტიკურ შეხედულებებს; 7. პროფესიული ეთიკის მოთხოვნები ფორმულირდება კანონმდებლობის, მოსამართლეთა დისციპლინური პალატის გადაწყვეტილებების, სტანდარტული პროფესიონალური მოთხოვნების, უფროსი კოლეგების მოსაზრებების და მოსამართლეთა თვითმეგნების საფუძველზე”**.

ესტონეთის ეთიკის კოდექსი ცალკე შეიცავს ე.წ. ”სპეციალურ დებულებებსაც” (მუხლები: 11-32), როგორცაა მაგალითად, ”მოსამართლემ უნდა იზრუნოს თავისი პროფესიული დონის ამაღლებაზე და მიიღოს მონაწილეობა პროფესიულ ტრენინგებში. მოსამართლე ვალდებულია, თავისი პროფესიული გამოცდილება და ცოდნა გაუზიაროს თავის კოლეგებს; მოსამართლემ უნდა შეინარჩუნოს სიმშვიდე და ღირსეულად შეასრულოს თავისი მოვალეობები; მოსამართლე უნდა იყოს მომთმენი და თავაზიანი პროცესის ყველა მონაწილესთან, კოლეგებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობაში და იგივე მოითხოვოს სხვებისაგან; მოსამართლე უნდა იყოს პატიოსანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანისას და ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ასეთივე ჩანდეს გარეშე დამკვირვებლის თვალში. ამისათვის კი მოსამართლე ვალდებულია ერთნაირად მოეპყრას პროცესის ყველა მონაწილეს, თავი შეიკავოს უადგილო კომენტარებისა და შენიშვნებისაგან, რაც არ უკავშირდება საქმეს. მოსამართლე ვალდებულია თავი შეიკავოს გაღიზიანებისა და გაბრაზებისაგან, ხმის ტონის აწევისა და ქესტიკულაციებისაგან, რომლებიც გამოხატავენ განსახილველ საქმესთან მის დამოკიდებულებას , ასევე სხვაგვარი ქცევებისაგან, რომლებმაც შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება საქმეზე მისი წინასწარი აზრის არსებობის შესახებ;⁹⁰ გარდა აღნიშნულისა, კოდექსით გათვალისწინებულია სხვა სახის შეზღუდვებიც, როგორცაა მაგალითად: ” მოსამართლემ თავი უნდა შეიკავოს პოლიტიკური და ბიზნეს შეხვედრებისაგან, სადილებისაგან ასევე, სასამართლო პროცესის მონაწილეებთან შეხვედრებისგან, თუ ამგვარი შეხვედრები ეჭვს გააჩენს მოსამართლის საქმისადმი დაინტერესების შესახებ და წარმოქმნის ინტერესთა კონფლიქტის საბაბს; მოსამართლეებს შორის მეგობრობის შემთხვევაშიც, მოსამართლემ უნდა მოერიდოს ისეთ სიტუაციებს, რასაც შეუძლიათ ინტერესთა კონფლიქტი გამოიწვიოს; მოსამართლეს უფლება არა აქვს იყოს პოლიტიკური ორგანიზაციის ან პარტიის ლიდერი ან წარმომადგენელი, ზეპირად ან წერილობით მხარი დაუჭიროს რომელიმე პოლიტიკურ მოძრაობას ან ფონდებს; მოსამართლეს უფლება არა აქვს მიიღოს საჩუქარი, სესხი, მემკვიდრეობა ან დაწინაურება გადაწყვეტილების გამოტანისათვის. მოსამართლეს აგრეთვე არა აქვს უფლება მიიღოს მსგავსი წახალისება თავისი ოჯახის წევრების, სასამართლოს თანამშრომლების ან სხვა

⁸⁹ ესტონეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, 2013 წლის 7 იანვრის მდგომარეობით;

⁹⁰ იქვე, მუხლი 14;

ადამიანებისთვის, რომლებიც მის დაქვემდებარებაში იმყოფებიან; მოსამართლეს უფლება არა აქვს წარმოაჩინოს საკუთარი თავი და ოჯახის წევრები პრესაში.⁹¹

რაც შეეხება თავისებურებას, ესტონეთის ეთიკის კოდექსი შეიცავს ისეთ ფორმულირებებს, რასაც ვერ ვნახავთ სხვა ქვეყნების მოსამართლეთა ეთიკურ ნორმებში, მაგალითად, კოდექსის 30-ე მუხლში გაწერილია, რომ *” მოსამართლე ვალდებულია თავი შეიკავოს ნარკოტიკების მოხმარებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებისაგან.”* ასევე, კოდექსი შეიცავს მეტად საინტერესო დათქმას, რაც ესტონეთს განასხვავებს დანარჩენი ქვეყნებისგან, მაგალითად ეთიკის კოდექსის მე-14 მუხლში ვკითხულობთ, რომ *”მოსამართლეს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ისეთ საქმიანობაში, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან, ამასთან იგი ვალდებულია დაიცვას საქმიანი ურთიერთობებისა და კერძო ბიზნესის წარმოების წესი”*. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სხვა დანარჩენი ქვეყნების და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაც (მათ შორის მოსამართლეთა ეთიკის წესებიც) იმპერატიულად კრძალავს მოსამართლის მიერ ნებისმიერი სახის სამეწარმეო, ფინანსურ და კომერციულ საქმიანობას, რასაც მოგება მოაქვს, გარდა საგანმანათლებლო და პედაგოგიური, საქმიანობისა. უფრო მეტიც, მოსამართლის მიერ მსგავსი ქმედების ჩადენა შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მოსამართლის თანამდებობისათვის შეუთავსებელი საქმიანობა, რაც კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება პირის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველიც კი გახდეს.⁹²

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ესტონეთის ეთიკის კოდექსიც, ისევე, როგორც სხვა ქვეყნების შემთხვევაში, ეთიკურ პრინციპებთან ერთად ასევე შეიცავს მოსამართლის სავალდებულო პროფესიულ მოვალეობათა (უნარ-ჩვევების) ვრცელ ჩამონათვალს, რაც ისედაც გათვალისწინებულია ქვეყნის ორგანულ კანონში *”მოსამართლეების შესახებ”*, ასე, მაგალითად, ესტონეთის ეთიკის კოდექსის მე-14 მუხლში ვკითხულობთ, რომ: მოსამართლე უნდა იყოს პატიოსანი და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების გამოტანისას და ყველაფერი უნდა იღონოს იმისათვის, რომ ასეთივე ჩანდეს გარეშე დამკვირვებლის თვალი, ასევე მე-15 მუხლი ადგენს: *”მოსამართლე ვალდებულია, საქმეზე გადაწყვეტილება მიიღოს დადგენილ ვადაში, აუჩქარებლად და ზერეულე განხილვის გარეშე, არ დააყოვნოს გადაწყვეტილების მიღება ფორმალური საფუძვლებით. მოსამართლემ არ უნდა დაუშვას პროცესის მონაწილეთა უფლებების დარღვევა ან გააჭიანუროს საქმის განხილვა; ასევე, მე-17 მუხლი: ”მოსამართლე ვალდებულია, დაიცვას სასამართლო სხდომაზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა და იგივე მოითხოვოს სასამართლოს თანამშრომლებისაგან. ანალოგიურ მოთხოვნებს ითვალისწინებს ესტონეთის კანონი ”სასამართლოების შესახებ”, მაგალითად 70-ე და 71-ე მუხლები: ”მოსამართლემ თავისი უფლებამოსილება უნდა განახორციელოს მიუკერძოებლად და ყოველგვარი ანგარების გარეშე”, მოსამართლემ სასამართლოში და მის გარეთ თავი უნდა შეიკავოს ისეთი ქმედებისაგან, რაც დააზიანებს სასამართლოს რეპუტაციას”, მოსამართლემ უნდა დაიცვას კონფიდენციალურობა და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სასამართლოში საქმის განხილვისას”, მოსამართლემ არ უნდა გაამჟღავნოს თათბირის საიდუმლოება” და ა.შ. ამრიგად, მოსამართლეთა სავალდებულო პროფესიული ქცევის ზოგადი წესებისა და ეთიკური ქცევის წესების გაერთიანება ერთ კანონში, წინააღმდეგობაშია საყოველთაოდ აღიარებულ ევროპულ სტანდარტებთან, რომლის მიხედვითაც სამოსამართლო ქცევის (ეთიკის) ნორმები თავმოყრილი უნდა იყოს სპეცილურ*

⁹¹ იქვე, მუხლები: 23,24,26,32;

⁹² საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტი; უკრაინის კანონი სასამართლო წყობილებისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ, მუხლი 83; ”მოლდოვის რესპუბლიკის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ” 22-ე მუხლის პირველი ნაწილის ”პ” ქ/პუნქტი; ყირგიზეთის რესპუბლიკის კანონი ”მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, 28-ე მუხლის პირველი ნაწილი;

საკანონმდებლო აქტებში და ისინი უნდა გაიმიჯნოს მოსამართლის პროფესიული მოვალეობებისაგან, რათა რომელიმე მათგანის დარღვევამ არ გამოიწვიოს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობა, ასე, მაგალითად, ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2002 წლის დასკვნაში აღნიშნულია, რომ "გაუმართლებელია ერთმანეთთან გავაიგივოთ პროფესიული სტანდარტების დარღვევა გადაცდომასთან, რომელიც იწვევს დისციპლინურ სანქციების გამოყენებას", ამავე დასკვნაში ასევე ხაზგასმულია, რომ "პროფესიული ქცევის სტანდარტები უნდა წარმოადგენდეს სასამართლო ხელისუფლების მიერ შემუშავებულ თვითრეგულირების მექანიზმებს, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული ეთიკური სტანდარტების ფარგლებში განამტკიცებს სასამართლო ორგანოების ავტორიტეტს", იქვე, "მიუხედავად იმისა, რომ ისინი ხშირად კვეთენ ერთმანეთს და დისციპლინურ წესებთან ერთოვლად მოქმედებენ, ქცევის წესები მაინც უნდა არსებობდეს მათგან დამოუკიდებლად იმისათვის, რომ რომელიმე ამ ქცევის წესის (იგულისხმება მოსამართლის პროფესიული ქცევის წესი - ავტორი) დარღვევა არ ჩაითვალოს დისციპლინურ გადაცდომად, ანდა სამოქალაქო ან სისხლის სამართლის კანონდარღვევად"⁹³ აღნიშნულის საპირწონედ შეგვიძლია დავასახელოთ მაგალითად უკრაინის კანონი "სასამართლო წყობილებისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ", რომლის მიხედვითაც დისციპლინურ გადაცდომად ითვლება: "სასამართლოში საქმეთა განაწილებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევა"⁹⁴, ბელარუსისა და ყაზახეთის შემთხვევაში - "მოსამართლის მიერ შრომის შინაგანაწესის დაუცველობა"⁹⁵ (აღნიშნული ნორმა ამოღებულია საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობიდან, 27.03.2012, №5922), რომელი საკითხის განხილვაც, ჩემი აზრით შეიძლება მივანდოთ სასამართლოს ადმინისტრაციულ ხელმძღვანელობას.

რაც შეეხება ბალტიისპირეთის კიდევ ორი ქვეყნის ლატვიისა და ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსებს, ორივე დასახელებული ქვეყნის სამოსამართლო ქცევის მარეგულირებელი ნორმები ისევე როგორც ესტონეთის და ზემოთ განხილული პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოსამართლეთა ეთიკური ნორმები შეიცავს მოსამართლის პროფესიული და ეთიკური ქცევის სტანდარტულ წესებს როგორც მოსამართლის მიერ თავისი პროფესიული მოვალეობების განხორციელებისას, ისე სასამართლოს გარეთ. რაც შეეხება განსხვავებას, აღნიშნული იმაში მდგომარეობს, რომ ლატვიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი გარკვეული ქცევის წესებსა და შეზღუდვებს უწესებს არამარტო მოსამართლეებს, არამედ მოსამართლეობის კანდიდატებსაც, ასე, მაგალითად, კოდექსში ვკითხულობთ: "მოსამართლე ან მოსამართლეობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს რომელიმე პოლიტიკური პარტიის ან ორგანიზაციის წევრი, გააკეთოს განცხადებები პოლიტიკური ორგანიზაციის სახელით, მოიზიდოს ფულადი სახსრები ან გაიღოს წვლილი პოლიტიკური ორგანიზაციის ან მისი კანდიდატის მხარდასაჭერად"; იქვე, "კანდიდატი, რომელიც არ არის მოსამართლე და სურვილს გამოთქვამს მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ, დანიშვნამდე ინარჩუნებს უფლებას, დარჩეს პოლიტიკური ორგანიზაციის წევრად, დაესწროს პოლიტიკურ შეკრებებს, გააგრძელოს ჩვეულებრივ საწევროს გადახდა პოლიტიკური ორგანიზაციისათვის".⁹⁶ თუმცა აღსანიშნავია მსგავსება ლატვიისა და ესტონეთის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსებს შორის, რაც იმაში გამოიხატება, რომ არცერთი ამ ქვეყნის ეთიკის კოდექსი მოსამართლეს არ უკრძალავს მართოს საკუთარი ინვენსტიციები და

⁹³ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, (№ 3), სტრასბურგი, 19 ნოემბერი, 2002 წელი, 48-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

⁹⁴ 83-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი ქ/პუნქტი;

⁹⁵ ბელარუსის რესპუბლიკის კანონი "სასამართლო წყობილებისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ", მუხლი 111; ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი სასამართლო სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ", 39-ე მუხლის მე-3 ნაწილი;

⁹⁶ ლატვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი მე-5 მუხლის მე-2 და მე-5 აბზაცები; (მიღებულ იქნა ლატვიის რესპუბლიკის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ 1995 წლის 20 აპრილს);

ფინანსური ინტერესები, მონაწილეობა მიიღოს მოგებასთან დაკავშირებულ ფინანსურ საქმიანობაში, კერძოდ ლატვიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსში გაწერილია, რომ "მოსამართლეს შეუძლია ფლობდეს პირად საკუთრებას, მოსამართლეს შეუძლია მართოს საკუთრება, მათ შორის, მისი ან მისი ოჯახის წევრების უძრავი ქონება ან იყოს ჩართული მისი ქონების შემოსავლებთან დაკავშირებულ მომგებიან საქმიანობაში"⁹⁷, რასაც ცალსახად კრძალავს სხვა ქვეყნების და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაც. რაც შეეხება ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსს, კანონის მეორე თავი ცალკე შეიცავს მოსამართლეთა ქვეყნის ძირითად პრინციპებს, რომელიც 12 პუნქტისაგან შედგება. ეს პრინციპებია: 1) პიროვნების პატივისცემა; 2) სახელმწიფოს პატივისცემა და ერთგულება; 3) სამართლიანობა და მიუკერძოებლობა; 4) დამოუკიდებლობა; 5) კონფიდენციალურობის დაცვა; 6) გამჭვირვალობა და საჯაროობა; 7) პატიოსნება და უანგარობა; 8) წესიერება; 9) სხვისთვის მაგალითის მიცემა; 10) პასუხისმგებლობის გრძნობა; 11) სოლიდარობა; 12) პროფესიული კვალიფიკაცია. სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ლიტვის ეთიკის კოდექსი პირდაპირ კრძალავს სასამართლო რესურსების გახარჯვასა და მოსამართლის პირადი ინტერესებისთვის გამოყენებას, კერძოდ კოდექსში გაწერილია: "არ გამოიყენოს სასამართლოს ქონება და მიცემული შესაძლებლობები არასამსახურებრივი საქმიანობისთვის, ასევე თავიდან აიცილოს სახელმწიფო აქტივებისა და ფინანსების არამიზნობრივი გამოყენება სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას"⁹⁸ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ასეთი შეზღუდვის მსგავსი პირდაპირი ფორმულირება არ გვხვდება ჩვენს მიერ განხილულ არცერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნის მოსამართლეთა ეთიკისა და თუნდაც დისციპლინურ კანონმდებლობაში. რამდენადაც ცნობილია, მსგავსი შეზღუდვის დარღვევა საზღვარგარეთის ქვეყნის კანონმდებლობით წარმოადგენს მოსამართლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველსაც, მაგალითად, კალიფორნიის შტატში⁹⁹. ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსიც ესტონეთის მსგავსად პირდაპირ კრძალავს ალკოჰოლისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ბოროტად გამოყენებასა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებას სამედიცინო დანიშნულების გარეშე.¹⁰⁰ ლიტვასთან მიმართებაში შეგვიძლია კიდევ ერთი თავისებურების გამოყოფაც, კერძოდ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით ლიტვაში მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის საქმეებს იხილავს ე.წ. "ეთიკისა და დისციპლინის კომისია"¹⁰¹, მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებში ეს ორი ორგანო გამიჯნულია ერთმანეთისგან, მაგალითად, სომხეთის რესპუბლიკაში. რაც შეეხება საქართველოს სამოსამართლო ქვეყნის წესებს, რომელიც 28 (ოცდარვა) მუხლისგან შედგება, ასევე, შეიცავს მოსამართლის პროფესიული და ეთიკური ქვეყნის სტანდარტულ წესებს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში და მის გარეთ, როგორცაა მაგალითად, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა, პროცესის მონაწილეთა პატივისცემა, მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების დაცვა, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, კომპეტენტურობა, კვალიფიკაციის ამაღლება; აგრეთვე, სასამართლოს გარეთ - მედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობა, უარი პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, გაფიცვაში მონაწილეობის აკრძალვა, ინტერვიუებისგან თავის შეკავება სასამართლოს ავტორიტეტის საზიანოდ, განსახილველ საქმესთან დაკავშირებით წინასწარი აზრის გამოთქმისაგან თავის შეკავება და ა. შ.

ასეთი მოცულობითი და მრავალმხრივია მოსამართლეთა უფლებამოსილებანი, რაც თავისთავად განაპირობებს მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველების მრავალსახეობას.

⁹⁷ ლატვიის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 4;

⁹⁸ ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი;

⁹⁹ State of California, Commission on Judicial Performance, <http://www.courts.ca.gov/5360.htm>

¹⁰⁰ ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 14, პუნქტი 9;

¹⁰¹ ლიტვის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსი, მუხლი 85; და "მოსამართლეთა ეთიკისა და სადისციპლინო კომისიის დებულება";

3. დისციპლინურ გადაცდომათა სახეები

(დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები)

რაც შეეხება ზემოთ დასახელებული ქვეყნების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის კონცეფციას, არსსა და მნიშვნელობას, აღნიშნული ფართოდაა ასახული მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მატერიალურ საფუძვლებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თანხვედრაშია ერთმანეთთან და იშვიათ შემთხვევაში გარკვეული სპეციფიკურობით ხასიათდებიან. ხშირ შემთხვევაში ეს სპეციფიკურობა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ნორმათა ბუნდოვანებასა და კონკრეტული კრიტერიუმების არარსებობაში გამოიხატება, კერძოდ, ასეთი ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნებიან: რუსეთი, ბელარუსი, უზბეკეთი და ყაზახეთი, რომელთა კანონმდებლობითაც დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლად მითითებულია ზოგადი და ორაზროვანი ფორმულირებები, ასე, მაგალითად: 1) რუსეთის შემთხვევაში - “დისციპლინური გადაცდომის, ე.ი. ბრალეული ქმედების (უმოქმედობის) ჩადენა სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებისას ან არასამოსამართლო საქმიანობისას, რასაც შედეგად მოჰყვა რუსეთის ფედერაციის კანონის „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ დებულებათა და (ან) სრულიად რუსეთის მოსამართლეთა კონფერენციის მიერ დამტკიცებული სამოსამართლო ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევა, რამაც ზიანი მიაყენა სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტსა და მოსამართლის რეპუტაციას”.¹⁰² 2) ბელარუსის შემთხვევაში - მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონის მოთხოვნათა დარღვევა; სხვა სახის სამსახურებრივი გადაცდომა;¹⁰³ 3) უზბეკეთის კანონით: ”მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონიერების დარღვევა;”¹⁰⁴ 4) ყაზახეთის შემთხვევაში - საქმის განხილვისას კანონიერების დარღვევა;¹⁰⁵ ” დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ბუნდოვანების მოსალოდნელ რისკებზე (მაგალითად, რუსეთთან მიმართებაში) საუბრობს საერთაშორისო იურისტთა კომისია თავის 2012 წლის დასკვნაში, სადაც ვკითხულობთ, რომ ”ასეთი მკვეთრად ჩამოუყალიბებელი სტანდარტების არსებობა იძლევა დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების უსასრულოდ ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც არამარტო ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას, არამედ ზრდის მოსამართლეთა მუდმივი დევნისა და შერჩევითი დასჯის რისკებს”¹⁰⁶ . აღნიშნულის შესახებ ასევე ხაზგასმულია ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2002 წლის დასკვნაში, სადაც ვკითხულობთ, რომ ” სასურველია, წევრმა სახელმწიფოებმა საკანონმდებლო დონეზე შეიმუშაონ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზუსტი საფუძვლები, როგორც ეს გათვალისწინებულია No. R (94) 12 რეკომენდაციით”.¹⁰⁷

¹⁰² რუსეთის ფედერაციის 1992 წლის 26 ივნისის #3132-1 კანონი ”რუსეთის ფედერაციის მოსამართლის სტატუსის შესახებ”, 2013 წლის 02.07, N 179-ФЗ -ის მდგომარეობით; მუხლი 12.1. და Положение о порядке работы квалификационных коллегий судей, ст.28. ч.2. (в редакции решений Высшей квалификационной коллегии судей Российской Федерации от 17.02.2009, 12.02.2010, 25.05.2010, 11.04.2012, 25.01.2013, 24.10.2013);

¹⁰³ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ О СУДОУСТРОЙСТВЕ И СТАТУСЕ СУДЕЙ, ст.111;

¹⁰⁴ Положения о квалификационных коллегиях судей, ст. 73;

¹⁰⁵ ყაზახეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი სასამართლო სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ”, მუხლი 39;

¹⁰⁶ Дисциплинарное производство в отношении судей в Российской Федерации, Доклад миссии МКЮ Декабрь 2012, ISBN: 92-9037-168-4, http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT_rus.pdf

¹⁰⁷ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2002 წლის № 3 დასკვნა, მუხლი 65 (CCJE (2002) Op. 3;

დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ყველაზე ვრცელ ჩამონათვალს შეიცავს უკრაინისა და მოლდოვის რესპუბლიკის დისციპლინური ნორმები, თუმცა აღნიშნული ფაქტორი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ევროპული, დემოკრატიული ბუნების მატარებლები არიან. მიუხედავად პასუხისმგებლობის საფუძვლების ფართო სპექტრისა, ზოგიერთი მათგანი ამკარად ეწინააღმდეგება საერთაშორისო ნორმებით დადგენილ სტანდარტებს, მაგალითად, მოლდოვის რესპუბლიკის კანონში "მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ", პასუხისმგებლობის ერთ-ერთ საფუძვლად მითითებულია: *"გადაწყვეტილებაში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება ან გადაწყვეტილების დასაბუთება იურიდიული ლოგიკის ამკარად საწინააღმდეგოდ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ავტორიტეტს ან მოსამართლის პროფესიულ ღირსებას;*"¹⁰⁸ მაშინ როდესაც სხვა ქვეყნების კანონმდებლობა არ ზღუდავს მოსამართლეს განმარტოს კანონი, გამოთქვას მოსაზრება საკუთარი შეხედულებისამებრ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე, დაუშვებელია მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემა კანონის საკუთარი ინტერპრეტაციით განმარტებისათვის საერთაშორისო ნორმებითაც, ისევე როგორც აღნიშნულს ითვალისწინებს საქართველოს დისციპლინური კანონის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, *"კანონის არასწორი განმარტება, რომელსაც საფუძვლად უდევს მოსამართლის შინაგანი რწმენა, არ არის დისციპლინური გადაცდომა და აღნიშნული ქმედებისათვის მოსამართლეს არ ეკისრება დისციპლინური პასუხისმგებლობა"*.¹⁰⁸ ასევე, მოლდოვის კანონში "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ", მუხლი 19, ვკითხულობთ: *"მოსამართლე არ შეიძლება მიეცეს პასუხისმგებაში მართლმსაჯულების განხორციელებისას ან საქმის განხილვისას გამოთქმული მოსაზრებისათვის, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული განაჩენით არ დადასტურდება მისი ბრალეულობა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში."*

სასამართლო ორგანოთა დამოუკიდებლობის ძირითადი პრინციპების შესახებ გაეროს რეზოლუციაში გაწერილია, რომ *"ადგილი არ უნდა ჰქონდეს გაუმართლებელ ან არასანქცირებულ ჩარევას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, მოსამართლეთა მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებანი არ გადაისინჯება"*.¹⁰⁹ იგივე დეფინიციას შეიცავს ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს 2007 წლის დასკვნაც, კერძოდ მასში ნათქვამია: *"თუ მოსამართლეს სამართლებრივი და დისციპლინარული სასჯელი დაეკისრება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის, ვერც სასამართლოს დამოუკიდებლობა და ვერც ხელისუფლების შტოებს შორის დემოკრატიული ბალანსი იქნება უზრუნველყოფილი"*.¹¹⁰

რაც შეეხება აზერბაიჯანისა და სომხეთის კანონმდებლობით გათვალისწინებულ დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლებს, მათ ჩამონათვალში კვლავ გვხვდება *"კანონის უხეში დარღვევა"*, ან *"კანონის უხეში და არაერთგზისი დარღვევა"*, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება ევროსაბჭოს ვენეციის კომისიის 2007 წლის დასკვნას, რომლის საფუძველზეც ასევე, აღნიშნული გადაცდომის სახე 2012 წლის 27 დეკემბერს ამოღებულ იქნა საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობიდან.

მოსამართლეთა დისციპლინური გადაცდომის სახეები (გარდა ზოგადი მიმოხილვისა) მათი სუბიექტური და ობიექტური მახასიათებლებისა და სპეციფიკურობის თვალსაზრისით შეგვიძლია დავაჯგუფოდ ცალკეულ კატეგორიებად და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია თითოეული პოსტსაბჭოთა ქვეყნის მაგალითზე. ძირითად უნდა გამოიყოს გადაცდომათა ორი ჯგუფი: 1.

¹⁰⁸ საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, 2013 წლის 5 მაისის რედაქცია;

¹⁰⁹ მიღებულია 1985 წლის 26 აგვისტო - 6 სექტემბერი, მილანი, გაეროს VII კონგრესის მიერ, მუხლი 4;

¹¹⁰ (ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა # 10, 23-27 ნოემბერი, 2007 წელი, სტრასბურგი);

ჩადენილი მოსამართლის პროფესიული მოვალეობების შესრულების მომენტში, მართლმსაჯულების განხორციელებისას და 2. ჩადენილი სასამართლოს გარეთ.

როგორც კვლევამ აჩვენა ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული გადაცდომის სახეა "კანონის დარღვევა", რომელსაც ვხვდებით ჩვენს მიერ შესწავლილ (რვა) ქვეყანაში: რუსეთი, ბელარუსი, მოლდოვა, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, ლატვია, ასევე, შედარებით განსხვავებული ფორმულირებით, როგორცაა "კანონიერების დარღვევა," ვხვდებით უზბეკეთსა და ყაზახეთში. ხოლო კონკრეტულად "პროცესუალური ნორმების დარღვევას" ითვალისწინებს უკრაინის კანონმდებლობა. მოსამართლეთა დისციპლინური საფუძვლების ჩამონათვალიდან "კანონის უხემ დარღვევას" არ შეიცავს სამი ქვეყნის: ლიტვის, ესტონეთის და საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობა. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ გადაცდომის აღნიშნული სახე სხვადასხვა ქვეყნებში გვხვდება განსხვავებული ინტერპრეტაციით, როგორც ზოგადი და ბუნდოვანი, ისე ვრცელი განმარტებებითა და ოდნავ განსხვავებული ტერმინოლოგიით. ხაზგასასმელია ის ფაქტიც, ზოგ ქვეყანაში, მოსამართლის მიერ მარტოოდენ "კანონის დარღვევაც" (არა უხეში და არა განზრახი) კი შეიძლება გახდეს დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის საფუძველი. თუმცა, აჯობებს განვიხილოთ ისინი ქრონოლოგიურად, ქვეყნების მითითებით.

3.1 კანონის (კანონიერების) დარღვევა (ზოგადი ფორმულირება)

- „ მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ კანონის დარღვევა (რუსეთი);
- მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონის მოთხოვნათა დარღვევა (ბელარუსი);
- მართლმსაჯულების განხორციელებისას კანონიერების დარღვევა (უზბეკეთი);
- საქმის განხილვისას კანონიერების დარღვევა (ყაზახეთი);
- კანონის დარღვევა (თურქმენეთი);

კანონის უხეში ან განზრახი დარღვევა, მატერიალური და პროცესუალური ნორმების დარღვევა (ვრცელი ფორმულირებით)

- მართლმსაჯულების განხორციელებისას პროცესუალური ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევა, დაკავშირებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე უარის თქმასთან, რაც დაუშვებელია კანონით; სასამართლოში საქმეთა განაწილებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევა; სასამართლოს განსჯადობის ან უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევა; სარჩელის უზრუნველყოფის ზომების უსაფუძვლო გამოყენება (უკრაინა);
- კანონის განზრახი, არაკეთილსინდისიერი ან განმეორებით დაუდევარი გამოყენება დამკვიდრებული ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის საწინააღმდეგოდ; მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში კანონით დადგენილი იმპერატიული ნორმების დარღვევა (მოლდოვის რესპუბლიკა);
- თუ საქმის განხილვისას მოსამართლე არაერთგზის ან უხეშად არღვევს კანონმდებლობის მოთხოვნებს (აზერბაიჯანი);
- მატერიალური კანონის ნორმების ამკარა და უხეში დარღვევა მართლმსაჯულების განხორციელებისას; საპროცესო კანონმდებლობის ნორმების ამკარა და უხეში დარღვევა (სომხეთი)
- კანონის უხეში დარღვევა სასამართლოში საქმის განხილვისას (ტაჯიკეთი);

- სასამართლოში საქმის განხილვის დროს კანონის განზრახ დარღვევა (ლატვია).

3.2 მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება¹¹¹

- მოსამართლის მოვალეობების შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება (საქართველო);
- მოსამართლის მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, რომელიც გამოიხატება სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში ან არაჯეროვან შესრულებაში (ესტონეთი);
- სამსახურებრივი მოვალეობების შეუსრულებლობა ან საქმის გადაწყვეტის დროს უხეში დაუდევრობა (ლატვია);
- მოსამართლის მიერ თავისი მოვალეობების შეუსრულებლობა, რაც გათვალისწინებულია ეთიკის კოდექსის 12, 72 -ე მუხლებით, 105-ე მუხლის 2-ე ნაწილით, 156-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 159-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 191-ე მუხლით, 167-ე მუხლის 3-ე ნაწილით, 193-ე მუხლით (სომხეთი);
- მოსამართლის ბრალით მისი მოვალეობის შეუსრულებლობა ან დაგვიანებული შესრულება საპატიო მიზეზის გარეშე (მოლდოვის რესპუბლიკა).

3.3 სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა

მოცემულ შემთხვევაში დისციპლინურ პასუხისმგებლობას ზოგიერთ ქვეყანაში იწვევს ზოგადად "ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა" ხოლო სხვა შემთხვევებში მოსამართლის ქმედების ასეთი კვალიფიკაციისათვის კანონმდებელი მოითხოვს დარღვევის დამატებით ნიშნებსაც, როგორცაა მაგალითად, სისტემატიური, უხეში ან სხვაგვარი დარღვევა და ა.შ. განვიხილოთ თანმიმდევრულად.

- მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის ნორმათა დარღვევა (რუსეთი);
- სამოსამართლო ეთიკის წესების სისტემატიური ან უხეში დარღვევა, რომელიც ძირს უთხრის სასამართლოს ავტორიტეტს (უკრაინა);
- ბელარუსის რესპუბლიკის მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის დარღვევა (ბელარუსი);
- სამოსამართლო ეთიკის დარღვევა (აზერბაიჯანი);
- მოსამართლის მიერ ეთიკის წესების დარღვევა (უზბეკეთი);
- სახელის გამტეხი ქმედების ჩადენა, რომელიც ეწინააღმდეგება სამოსამართლო ეთიკას (ყაზახეთი);
- მოსამართლის მიერ ქცევის წესების სისტემატიური ან უხეში დარღვევა; ეთიკის კოდექსით დადგენილი წესით ეთიკის კომისიისათვის შეუტყობინებლობა მის საქმიანობაში ჩარევის შესახებ ან მის საქმიანობაზე კანონით გაუთვალისწინებელი სხვა ზეგავლენის შესახებ, რაც დაკავშირებულია მართლმსაჯულების და კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილების განხორციელებასთან (სომხეთი);

¹¹¹ იხილეთ "სამოსამართლო ეთიკა და პასუხისმგებლობა", კონფერენცია მოსამართლის პროფესიის საკითხებზე, თბილისი, 2013 წლის 27-28 სექტემბერი. კალიფორნიის სამოსამართლო ქცევის კომისიის რეკომენდაცია;

- უღირსი საქციელი ან სამოსამართლო ეთიკის ნორმების უხეში დარღვევა (ლატვია);
- მოსამართლეთა ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა სხვაგვარი დარღვევა (ლიტვა);
- სამოსამართლო ეთიკის ნორმების დარღვევა (საქართველო).

მიზანშეწონილი იქნება, ცალკე გამოვყოთ ზოგიერთი ქვეყანა, რომლის კანონმდებლობითაც დისციპლინური წესით ისჯება არა პირდაპირ მოსამართლის მიერ ეთიკური ქცევის წესების დარღვევა, არამედ მაგალითად, მოსამართლის უღირსი საქციელი, უწესო ქცევა, სახელისგამტეხი საქციელის ჩადენა, რაც ასევე უკავშირდება მოსამართლის მიერ კანონით დადგენილი ქცევის ნორმების დარღვევას, ასევე, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ არცთუ ისე იშვიათ შემთხვევაში, მოსამართლე დისციპლინური წესით პასუხს აგებს ორივე დასახელებულ შემთხვევაში (მაგალითად, აზერბაიჯანი და ლიტვა) კერძოდ, სამოსამართლო ქცევის წესების განსხვავებულ ინტერპრეტაციას შეიცავენ შემდეგი ქვეყნები:

- მოსამართლის უწესო ქცევა (ესტონეთი);
- ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ღირსებას (ლიტვა);
- სახელისგამტეხი საქციელის ჩადენა (ტაჯიკეთი);
- სასამართლოს სახელის გამტეხი ქმედების ჩადენა (აზერბაიჯანი);
- სხვა ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებენ მოსამართლის პროფესიულ ღირსებას ან პატივს ან მართლმსაჯულების ავტორიტეტს ჩადენილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას ან მის გარეთ (მოლდოვის რესპუბლიკა).

3.4 შრომის დისციპლინის (შინაგანაწესის) დარღვევა¹¹²

აღნიშნულ კატეგორიას მიეკუთვნება დარღვევათა ისეთი სახეები, როგორცა: სამსახურში დაგვიანება, სამსახურის გაცდენა ან სამსახურიდან წასვლა არასაპატიო მიზეზით (კონკრეტული შედეგით ან მის გარეშე), შრომის დისციპლინის უხეში ან სისტემატიური დარღვევა, კერძოდ:

- შინაგანი შრომითი განაწესის წესების დარღვევა (ტაჯიკეთი);
- შრომის დისციპლინის სისტემატიური ან უხეში დარღვევა (სომხეთი);
- შრომის დისციპლინის უხეში დარღვევა (ყაზახეთი);
- შრომისა და საწარმოო დისციპლინის შესახებ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა (აზერბაიჯანი);
- სამსახურის გაცდენა, დაგვიანება ან სამსახურიდან წასვლა ობიექტური მიზეზების გარეშე, რასაც შედეგად მოყვა სასამართლო საქმიანობის შეფერხება (მოლდოვის რესპუბლიკა);
- მოსამართლის მიერ შრომის შინაგანაწესის დაუცველობა (ბელარუსი).

3.5 მოსამართლისათვის შეუთავსებელი (შეუფერებელი) საქმიანობის განხორციელება

დისციპლინური გადაცდომის აღნიშნული სახე გვხვდება პოსტსაბჭოთა სივრცის მხოლოდ ხუთ ქვეყანაში, აქედან ზოგიერთი ქვეყნის კანონი საერთოდ არ შეიცავს ნორმის პირდაპირ განმარტებას, ხოლო ზოგ შემთხვევაში მითითებულია კონკრეტული კანონის ნორმათა დარღვევა. კერძოდ:

¹¹² გადაცდომის აღნიშნული სახე ამოღებულია საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობიდან;

- იმ ნორმების დარღვევა, რომლებიც შეეხება მოსამართლისთვის დადგენილ შეუთავსებლობებს და აკრძალვებს (მოლდოვის რესპუბლიკა);
- მოსამართლის თანამდებობისათვის შეუფერებელი საქმიანობა (ყირგიზეთი);
- საჯარო მოხელეთა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის შეზღუდვებისა და აკრძალვების დაუცველობა (ლატვია);
- მოსამართლეთა საქმიანობაზე და პოლიტიკურ აქტივობებზე კანონით დადგენილი შეზღუდვების დარღვევა (ლიტვა);
- მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობა ან მოსამართლის მოვალეობებთან ინტერესთა შეუთავსებლობა (საქართველო).

3.6 საქმეთა რეგისტრაციის, განაწილებისა და განსჯადობის წესების დარღვევა

აღნიშნული გადაცდომისათვის მოსამართლის დისციპლინური წესით პასუხისმგებლობას განხილული ქვეყნებიდან ითვალისწინებს მხოლოდ ერთადერთი ქვეყანა - უკრაინის რესპუბლიკა, კერძოდ, დისციპლინურ დარღვევას წარმოადგენს: "სასამართლოში საქმეთა განაწილებისა და რეგისტრაციის წესების დარღვევა; სასამართლოს განსჯადობის ან უწყებრივი ქვემდებარეობის წესების დარღვევა;

3.7 საქმის აცილებაზე უარის თქმა ან უსაფუძვლო აცილება

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დისციპლინური გადაცდომის აღნიშნული სახეზე პირდაპირ მითითებას არ შეიცავს ზემოთ ჩამოთვლილი უმრავლესი ქვეყნების კანონმდებლობა, თუმცა ზოგიერთი ასეთი ქვეყნის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ჩამონათვალში ზოგადი მითითება იმის შესახებ, რომ "მოსამართლის სტატუსის შესახებ" კანონის დარღვევა იწვევს მოსამართლის დისციპლინურ პასუხისმგებლობას (რაც იძლევა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას), უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონი არაპირდაპირ, მაგრამ ირიბად მაინც არ გამორიცხავს მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხის დადგომას ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში. ასე, მაგალითად, საქმის აცილებაზე უარის თქმის ან უსაფუძვლო აცილების შესახებ კონკრეტულ დათქმას არ შეიცავს არცერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის კანონმდებლობა გარდა უკრაინისა და მოლდოვის რესპუბლიკისა. ასე, მაგალითად, "საქმის განხილვის აცილების კანონით გათვალისწინებული ერთ-ერთი საფუძვლის არსებობის მიუხედავად, მოსამართლის მიერ აცილებაზე უარის თქმა. ასევე, ერთი და იგივე საქმეზე დაუსაბუთებელი და განმეორებითი აცილებების განხორციელება, რასაც შედეგად მოყვა საქმის განხილვის გაჭიანურება (მოლდოვის რესპუბლიკა); ასევე, "საქმის მიუკერძოებლად განხილვის შესახებ მოთხოვნის დარღვევა, კერძოდ აცილების (თვითაცილების) წესის დარღვევა (უკრაინა);

3.8 საქმის განხილვის გაჭიანურება

გადაცდომის აღნიშნულ სახეზე პირდაპირი მითითებას შეიცავს მარტო საქართველოს დისციპლინური კანონმდებლობა, ოღონდ დისციპლინური პასუხისმგებლობა დგება მხოლოდ საქმის განხილვის უსაფუძვლოდ გაჭიანურებისათვის¹¹³ ხოლო რაც შეეხება კიდევ ორ ქვეყანას (მოლდოვა და უკრაინა), დარღვევის აღნიშნული სახე მოცემულია განსხვავებული ინტერპრეტაციით, ან ასეთი დარღვევა მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია სხვა სახის გადაცდომის ჩადენასთან, მაგალითად, "ერთი და იგივე საქმეზე დაუსაბუთებელი და განმეორებითი აცილებების განხორციელება, რასაც შედეგად მოყვა საქმის განხილვის გაჭიანურება (მოლდოვა); და

¹¹³ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტი;

განსხვავებული ფორმულირება - "მოსამართლის მიერ განცხადების, საჩივრის ან საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის შესახებ ზომების მიუღებლობა" (უკრაინა);

3.9 ინფორმაციის კონფიდენციალურობა

აღნიშნული დარღვევის ქვეშ როგორც წესი მოიაზრება როგორც მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების დაცვის პრინციპის დარღვევა, ისე პროფესიული საიდუმლოების გაცემა, რომელიც ცნობილი გახდა საქმის განხილვის პროცესში(ან დახურულ სხდომაზე) აღსანიშნავია ისიც, რომ მსგავსი გადაცდომისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობა დგება ყოველგვარი წინაპირობისა და საზიანო შედეგის დადგომის გარეშე. ასეთ ჩამონათვალს შეიცავს შემდეგი ქვეყნების კანონმდებლობა: საქართველო, უკრაინა, მოლდოვა და ყირგიზეთი. რაც შეეხება ყირგიზეთს, მართალია კანონში არ არის პირდაპირი მითითება გადაცდომის აღნიშნულ სახეზე, მაგრამ არსებობს მითითება კანონის სხვა ნორმის დარღვევაზე, რომელიც მოსამართლეს ასევე ავალდებულებს "მოსამართლეთა თათბირის საიდუმლოების დაცვას"¹¹⁴

3.10 საჯარო მოხელეთა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის მოთხოვნათა დაუცველობა

დისციპლინური დარღვევის აღნიშნული სახე სხვადასხვა ფორმულირებით გვხვდება სხვადასხვა ქვეყნის კანონში, მაგალითად საქართველოს კანონმდებლობაში მას ქვია "კორუფციული სამართალდარღვევა, რომელსაც თან სდევს საკმაოდ ვრცელი განმარტება;¹¹⁵ ლატვიის კანონით ისჯება "საჯარო მოხელეთა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ კანონის შეზღუდვებისა და აკრძალვების დაუცველობა", აზერბაიჯანის კანონით - „კორუფციასთან ბრძოლის შესახებ“ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენა”.

3.11 საპროცესო ვადების დარღვევა

იმისათვის, რომ საპროცესო ვადების დარღვევა დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვალოს, აუცილებელია შემდეგი პირობების დაკმაყოფილება: 1) არასაპატიო მიზეზი; და 2) მოსამართლის აშკარა ბრალი; ასე, მაგალითად მოლდოვის რესპუბლიკის კანონით, აღნიშნულ დარღვევათა ჯგუფს მიეკუთვნება: "მოსამართლის ბრალით მისი მოვალეობის შეუსრულებლობა ან დაგვიანებული შესრულება საპატიო მიზეზის გარეშე; და საპროცესო მოქმედებების განხორციელების, სასამართლო გადაწყვეტილების მომზადების და მისი პროცესის მონაწილე მხარეებზე გადაცემის ვადების დარღვევა მოსამართლის აშკარა ბრალით", ასევე, "მოსამართლის მიერ განცხადების, საჩივრის ან საქმის კანონით დადგენილ ვადაში განხილვის შესახებ ზომების მიუღებლობა" (უკრაინა).

3.12 ქონებრივი დეკლარაციის წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა ან ცრუ დეკლარირება

ასეთი სახის დარღვევად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, "შემოსავლების, ხარჯების და გასული წლის ფინანსური ვალდებულებების შესახებ ქონებრივი დეკლარაციის წარუდგენლობა ან დაგვიანებით წარდგენა იმ ფორმითა და წესით, რაც დადგენილია უკრაინის კანონით „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციული ზომების შესახებ“, შეგნებულად ცრუ მონაცემების შეტანა დეკლარაციაში" (უკრაინა).

¹¹⁴ ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ", 28-ე მუხლის პირველი ნაწილი და ამავე კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი;

¹¹⁵ საქართველოს დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ კანონის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ზ" ქ/პუნქტი;

3.13 უღირსი საქციელის ჩადენა პროცესის მონაწილეთა მიმართ

”სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას კოლეგების, იურისტების, ექსპერტების, მოწმეების, ან პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ უღირსი საქციელის ჩადენა” (მოლდოვის რესპუბლიკა).

3.14 მოსამართლის სხვაგვარი ქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ლახავს მოსამართლის სახელს და სასამართლოს ავტორიტეტს

ამ ტიპის დარღვევები გვხვდება პოსტსაბჭოთა სივრცის ცალკეულ ქვეყნებში, ოღონდ ოდნავ განსხვავებული ინტერპრეტაციით, მაგალითად ”ქმედება, რომელიც ზიანს აყენებს სასამართლოს ღირსებას (ლიტვა); სხვა ქმედებები, რომლებიც ზიანს აყენებენ მოსამართლის პროფესიულ ღირსებას ან პატივს ან მართლმსაჯულების ავტორიტეტს ჩადენილი სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას ან მის გარეთ”, ”მოსამართლისათვის შეუფერებელი ქმედება, რომელიც ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს ან ზიანს აყენებს სასამართლოსადმი ნდობას” (საქართველო), ”ხარვეზების დაშვება სასამართლო საქმიანობის ორგანიზებისას დაუდევრობის ან უდისციპლინოების გამო, აგრეთვე ისეთი გადაცდომის ჩადენა, რომელიც სახელს უტეხს მოსამართლის პატივსა და ღირსებას და ბღალავს სასამართლოს ავტორიტეტს” (უზბეკეთი).

3.15 სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა

გადაცდომის აღნიშნული სახე გათვალისწინებულია მხოლოდ მოლდოვის რესპუბლიკის კანონმდებლობით.

3.16 სხვა სახის გადაცდომები

ამ კატეგორიის გადაცდომებად შეიძლება ჩაითვალოს იმ ტიპის გადაცდომები, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ ცალკე აღებული რომელიმე ქვეყნისთვის და არ არის გათვალისწინებული სხვა დანარჩენი ქვეყნის კანონმდებლობით. ასე, მაგალითად, ”ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა” (ლატვია); ”დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების ჩადენა, რომელიც ზიანს აყენებს მართლმსაჯულების ავტორიტეტს;”¹¹⁶ ”გადაწყვეტილებაში არაჯეროვანი გამოთქმების გამოყენება ან გადაწყვეტილების დასაბუთება იურიდიული ლოგიკის აშკარად საწინააღმდეგოდ, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს მართლმსაჯულების ავტორიტეტს ან მოსამართლის პროფესიულ ღირსებას;” ”სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებისას მოსამართლის მიერ ისეთი ქმედების ჩადენა, რომელიც აშკარად ადასტურებს მის არაპროფესიონალიზმს და არაკომპეტენტურობას”, ”დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენს სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის მიერ #514-XIII კანონის მე-16 მუხლში ფორმულირებული მოვალეობების შეუსრულებლობა, რომელმაც ზიანი მიაყენა სასამართლოს საქმიანობას” (მოლდოვა). კიდევ ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის, კერძოდ ბელარუსის კანონმდებლობა ითვალისწინებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას ”სხვა სახის სამსახურებრივი გადაცდომისათვის”, თუმცა აღნიშნული ნორმა არ შეიცავს არავითარ დამატებით განმარტებას.

3.17 დისციპლინური ორგანოს ან ეთიკის კომისიის საქმიანობისათვის ხელის შეშლა

დისციპლინური დარღვევის მოცემული ფორმა გამოიხატება როგორც დისციპლინური ორგანოს უპატივცემულობასა და საქმიანობაში ხელის შეშლაში (საქართველო), ისე ეთიკის კომისიისათვის ინფორმაციის შეუტყობინებლობაში, როცა ადგილი აქვს მოსამართლის საქმიანობაში უკანონო

¹¹⁶ სავარაუდოა, რომ ამ შემთხვევაში პირს შეიძლება დაეკისროს ორმაგი პასუხისმგებლობა, როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე დისციპლინური;

ჩარევას (სომხეთი)¹¹⁷ და ასევე, "ინსპექტორ-მოსამართლეების საქმიანობის ხელის შეშლა ნებისმიერი საშუალებით" (მოლდოვა).¹¹⁸

სასამართლოს გარეთ ჩადენილ გადაცდომათა კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი სახის დარღვევები, რომლებიც შეიძლება ჩადენილ იქნეს მოსამართლის მიერ არასამოსამართლო საქმიანობისას, ანუ სასამართლოს გარეთ და სხვა პირებთან ან ორგანიზაციებთან მიმართებაში, თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, ასეთი ქმედება ზიანს აყენებს მოსამართლის სტატუსსა და სასამართლოს ავტორიტეტს. მათ რიცხვს განეკუთვნება:

3.18 უკანონო ჩარევა და თანამდებობის გამოყენება არამართლზომიერი უპირატესობის მისაღებად

დისციპლინურ პასუხისმგებლობას იწვევს ისეთი ქმედება, როგორცაა, "უკანონო ჩარევა ან მოსამართლის თანამდებობის გამოყენება სხვა ორგანოებთან, დაწესებულებებთან, თანამდებობის პირებთან ურთიერთობაში, უსამართლო უპირატესობის მოსაპოვებლად პირადი ან სხვათა ინტერესების სასარგებლოდ" (მოლდოვა).

3.19 მოსამართლეთა პოლიტიკური საქმიანობა

დისციპლინური გადაცდომის ეს ტიპი კრძალავს როგორც ცალკეული პოლიტიკური ორგანიზაციის წევრობას, ისე მასში აქტიურ საქმიანობას, მაგალითად, დისციპლინურ დარღვევათა რიცხვს მიეკუთვნება "საქმიანობაზე და პოლიტიკურ აქტივობებზე კანონით დადგენილი შეზღუდვების დარღვევა (ლიტვა), "პარტიებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წევრობის შენარჩუნება" (ლატვია). აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ მოსამართლის მხრიდან მსგავსი ქმედების აკრძალვას სხვა ქვეყნებში ასევე ითვალისწინებს ამ ქვეყნების მოსამართლეთა ეთიკის კოდექსები, თუმცა მათზე პირდაპირი მითითება მაინც არ ხდება დისციპლინურ კანონმდებლობაში, ისე როგორც ბალტიისპირეთის აღნიშნულ ქვეყნებში.

4. დისციპლინური სახდელები

კალიფორნიის სასამართლოს ქვევის კომისიის დირექტორის ვიქტორია ჰენლის რეკომენდაციაში ვკითხულობთ: *"დისციპლინური ღონისძიებების გამოყენება ხელს უწყობს ქვევის უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრებას, რაც დაეხმარება ქვეყნის ხელისუფლებას დაანახოს საზოგადოებას და სასამართლოს, რომ არამართლზომიერი/არაეთიკური ქცევა დაუსჯელი არ დარჩება".*¹¹⁹

რაც შეეხება დისციპლინურ სახდელების განსაზღვრის საკითხს, დისციპლინურმა ორგანომამა ამ შემთხვევაშიც, ალბათ უნდა იხელმძღვანელონ იმ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, რაც დადგენილია მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით ასე, მაგალითად, მოსამართლეთა ევროპული ქარტია აცხადებს, რომ *"მოსამართლისათვის დაკისრებული სანქციები მათ მიერ მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის უნდა იყოს პროპორციული მოსამართლის მიერ ჩადენილ*

¹¹⁷ სომხეთის რესპუბლიკაში, მართლმსაჯულების საბჭოსთან ერთად ფუნქციონირებს ასევე ეთიკის კომისია;

¹¹⁸ მოლდოვის რესპუბლიკის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მუხლები 21, 22, 23, 24; (ინსპექტორ-მოსამართლეები ახორციელებენ საქმის წინასწარ მოკვლევას, არსებობენ ასევე, მთავარი ინსპექტორ-მოსამართლეები);

¹¹⁹ "სამოსამართლო ეთიკა და პასუხისმგებლობა", კონფერენცია მოსამართლის პროფესიის საკითხებზე, თბილისი, 2013 წლის 27-28 სექტემბერი;

გადაცდომასთან¹²⁰ თუმცა ჩვენს მიერ განხილული პოსტსაბჭოთა ქვეყნების (გარდა რუსეთისა) სადისციპლინო სამართალწარმოების პრაქტიკული მაგალითების (პრაქტიკის განზოგადების) ხელმიუწვდომობის გამო, ამ საკითხზე მსჯელობას აქ ვერ შევძლებთ, სამაგიეროდ შესაძლებელია ფართოდ მიმოვიხილოთ დასახელებულ ქვეყნებში არსებული დისციპლინური სანქციების სისტემა და მათი პრაქტიკაში გამოყენების როგორც ზოგადი ისე კონკრეტული სამართლებრივი საფუძვლები, მაგალითად, ასეთი ზოგადი საფუძვლებია: *„სადისციპლინო კოლეგია მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელისა და დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების შერჩევას ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის შინაარსსა და სიმძიმეს შედეგებს, რომლებიც მას მოჰყვა ან შეიძლებოდა მოჰყოლოდა, ბრალის ხარისხს“* (საქართველო)¹²¹; ასევე, *„სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება დარღვევის ხასიათი და მისი შედეგები, დარღვევის სიმძიმე. მოსამართლის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი (უზბეკეთი)¹²², იგივე შინაარსის დეფინიციას შეიცავს ტაჯიკეთისა და თურქმენეთის კანონმდებლობა „მოსამართლეთა შესახებ“¹²³ გამონაკლისს წარმოადგენს რუსეთი და აზერბაიჯანი, რომელი ქვეყნების კანონმდებლობაც საერთოდ არ ითვალისწინებს იმ პატივსადაც გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში მიიღება დისციპლინური სახდელის დაკისრებისას, რაც ასევე, არ პასუხობს საყოველთაოდ აღიარებულ ევროპული სტანდარტების მოთხოვნებს.*

გარდა ზემოაღნიშნულისა, ცალკეულ ქვეყნებში სახდელის სახეების მიმოხილვისას ასევე, შეგვიძლია აღმოვაჩინოთ მათი როგორც იდენტურობა ისე განსხვავებული მახასიათებლები და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია მაგალითად, 1) მსუბუქ და 2) მკაცრ სასჯელებად, ისევე როგორც ეს მიღებულია ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ბელგიაში.¹²⁴ თუმცა უფრო მარტივია მოვახდინოთ მათი დაყოფა ისეთ სახეებად, როგორც ეს აღნიშნულია ევროპელ მოსამართლეთა დისციპლინური სისტემის ანალიზში, კერძოდ, მორალურ (მაგალითად, შენიშვნა, გაფრთხილება, საყვედური, ფინანსურ (ჯარიმა, სახელფასო განაკვეთიდან თანხის დაქვითვა) და სხვა მძიმე სანქციებად (სხვა სასამართლოში გადაყვანა, ჩამოქვეითება, უფლებამოსილების დროებით შეჩერება, თანამდებობიდან გადაყენება)¹²⁵ თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმრავლეს პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დისციპლინური სახდელის სახეობები იდენტურია, განსხვავება კი ხშირად შეინიშნება ტერმინებში, როგორიცაა: მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა (*ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა, (მაგ. რუსეთის შემთხვევაში)¹²⁶ ან თანამდებობიდან გათავისუფლება, მოსამართლის მკომპრომიტირებელი და სასამართლო ხელისუფლების დისკრედიტაციისკენ მიმართული საფუძვლების არსებობისას. ასე, მაგალითად, სომხეთის კანონმდებლობაში ასეთ დისციპლინურ სანქციას ჰქვია - უფლებამოსილების შეწყვეტა, ყირგიზეთსა და ბელარუსში (მათ შორის საქართველოს კანონმდებლობაში) კი გამოიყენება ტერმინი - თანამდებობიდან*

¹²⁰ ევროპული ქარტია „მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“, მუხლი 5.1.

¹²¹ საქართველოს კანონი საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, მუხლი 54-ე, ნაწილი 1;

¹²² უზბეკეთის რესპუბლიკის „ოლი მაჯლისის“ დებულება „ მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შესახებ“, პუნქტი 44.);

¹²³ ტაჯიკეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონი სასამართლოების შესახებ“, მუხლი 123; თურქმენეთის კანონი „მოსამართლეთა შესახებ“, მუხლი 74-ე;

¹²⁴ ბელგიის მოსამართლეთა კოდექსი, მუხლი 405, „Дисциплинарное производство в отношении судей в Российской Федерации“, Доклад миссии МКЮ Декабрь 2012, ISBN: 92-9037-168-4, გვ. 34; http://icj.wpengine.netdna-cdn.com/wp-content/uploads/2012/12/MISSION-RUSSIA-REPORT_rus.pdf

¹²⁵ ევროპელი მოსამართლეებისა და პროკურორების დისციპლინური სისტემების ანალიზი, 2012, გვ. 13, <http://www.ejtn.eu/Documents/Themis%202012/THEMIS%202012%20ERFURT%20DOCUMENT/Written%20paper%20France%20203.pdf>

¹²⁶ რუსეთის ფედერაციის კანონი „ მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, მუხლი 14, პუნქტი 7;

გათავისუფლება, ხოლო ყაზახეთის კანონმდებლობა დისციპლინური სანქციის სახით იყენებს ორივე ტერმინს. სპეციფიკურია ასევე, უკრაინის დისციპლინური კანონმდებლობა, რომელიც დისციპლინური გადაცდომის მხოლოდ ერთადერთ სახეს - "საყვედურს" ¹²⁷ითვალისწინებს, ხოლო უზბეკეთის კანონმდებლობა - მხოლოდ "საყვედურს" და "ჯარიმას"¹²⁸, რაც შეეხება ბელარუსის კანონმდებლობას, დისციპლინურ სახდელთა ჩამონათვალში დამატებულია " მოსამართლის საკვალიფიკაციო კლასის დაქვეითება - 6 თვით",¹²⁹ ხოლო მოლდოვისა¹³⁰ და სომხეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით სახდელის სახით ასევე გათვალისწინებულია მოსამართლის სახელფასო ანაღაურების 25%-ის დაქვეითვა¹³¹ და ა.შ. თუმცა უმჯობესი იქნება მიმოვიხილოთ დისციპლინური სახდელების ცალკეული ჯგუფები თითოეული ქვეყნის მაგალითზე, რათა ხაზი გაესვას მათ სპეციფიურ თავისებურებებს.

1. მორალური სანქციები

სახდელების ასეთი ტიპი შეიძლება ითქვას, რომ უკლებლივ ყველა პოსტსაჟოთა სივრცის დისციპლინურ კანონმდებლობაში გამოიყენება. სანქციის ამ სახეს აქვს უფრო მეტად მორალურ-აღმზრდელობითი ხასიათი და იგი მხოლოდ მოსამართლის ნაკლოვანებების გამოსწორებას ისახავს მიზნად. როგორც წესი, ამ ტიპის სანქციები არ არის საჯარო ხასიათის და არ იწვევს მოსამართლისთვის სხვა მძიმე შედეგს. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ სახის სახდელის დაკისრების ფაქტი გავლენას ახდენს მომამავალში მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის განმეორებით ჩადენისა და მოსამართლის დაწინაურების გარემოებებზე.

მორალური სანქციების ყველაზე მეტად გავრცელებულ კატეგორიებს წარმოადგენს:

შენიშვნა, გაფრთხილება, (გაფრთხილება - თანამდებობრივი შეუფერებლობისათვის (არაკომპეტენტურობისათვის - რუსეთი, ბელარუსი), საყვედური, მკაცრი საყვედური, (რუსეთი, უკრაინა, ბელარუსი, მოლდოვა, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, სომხეთი, საქართველო), სასტიკი საყვედური - (სომხეთი).

2. ფინანსური სანქციები

სახდელების ამ ჯგუფში შედის: ჯარიმა 1 თვის ხელფასის ოდენობით, ხელფასის დაქვეითვა (ესტონეთი) ხელფასის დაქვეითვა ერთი წლის განმავლობაში 20%-მდე ოდენობით (ლატვია), ხელფასის დაქვეითვა (მოლდოვის რესპუბლიკა), თავისებურებით გამოირჩევა სომხეთის რესპუბლიკა, რომლის კანონმდებლობითაც გათვალისწინებულია ერთდროულად როგორც მორალური, ისე ფინანსური სახდელის დაკისრება მოსამართლისათვის, როგორცაა: 1) საყვედური, მოსამართლის სახელფასო ანაღაურების 25%-ის დაქვეითვა, 6 თვის ვადით; 2) სასტიკი საყვედური, მოსამართლის სახელფასო ანაღაურების 25%-ის დაქვეითვა, ერთი წლის ვადით; დანარჩენი ქვეყნების დისციპლინური კანონმდებლობით გათვალისწინებულია მხოლოდ სახდელის ერთი სახის გამოყენება.

¹²⁷ უკრაინის რესპუბლიკის კანონი სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, მუხლი 88-ე, 1-ე ნაწილი;

¹²⁸ დებულება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების შესახებ, მუხლი 44-ე, უზბეკეთის რესპუბლიკის "ოლი მაჯლისის" დადგენილება, 2007 წლის მდგომარეობით;

¹²⁹ ბელარუსის რესპუბლიკის კანონი სასამართლო სისტემისა და მოსამართლის სტატუსის შესახებ, მუხლი 112;

^{130 130} მოლდოვის რესპუბლიკის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მე-6 მუხლის პირველი ნაწილი;

¹³¹ სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსი, მუხლი 157;

3. სხვა მძიმე სანქციები

სახდელის ამ ჯგუფში შეიძლება გავაერთიანოთ ისეთი ტიპის სახდელები, რომელიც დაკავშირებულია მოსამართლის უფლებამოსილების სხვადასხვა ფორმით შეზღუდვასთან ან უფლებამოსილების შეწყვეტასთან, სხვადასხვა ქვეყნებში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გვხვდება განსხვავებული ტერმინოლოგიები, ზოგან თანამდებობიდან გადაყენება, ზოგან თანამდებობიდან გათავისუფლება, ასევე, უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა და ა.შ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ცალკეული ქვეყნის კანონმდებლობა შეიცავს ამ ტერმინთა განმარტებებსაც. განვიხილოთ ისინი კონკრეტული ქვეყნის მაგალითზე:

- მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტა (მოლდოვის რესპუბლიკა, აზერბაიჯანის რესპუბლიკა);
- მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტა (რუსეთი);
- მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის შუამდგომლობით მიმართვა (სომხეთი);
- მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება, საერთო სასამართლოს მოსამართლეთა რეზერვში ჩარიცხული მოსამართლის რეზერვიდან ამორიცხვა. (საქართველო);
- მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება (ესტონეთი, ბელარუსი);
- მოსამართლის თანამდებობიდან ვადაზე ადრე გათავისუფლება (ყირგიზეთი);
- სამსახურიდან გათავისუფლება (მოლდოვის რესპუბლიკა).

რაც შეეხება სახდელის ფორმის კანონით გათვალისწინებულ განმარტებას, ასეთ პირდაპირ განმარტებას შეიცავს მხოლოდ ყაზახეთის კანონმდებლობა, კერძოდ:

- სასამართლოს თავმჯდომარის ან თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობიდან გათავისუფლება - სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვანი შესრულებისათვის;
- მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება - კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული საფუძვლებით.

თუმცა დანარჩენი ქვეყნის კანონმდებლობაც დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ ასევე, იძლევა განმარტებას ცალკეულ ნორმებში იმის შესახებ, თუ რა გარემოებები შეიძლება დაედოს საფუძვლად მოსამართლისათვის თანამდებობრივი სტატუსის შეზღუდვას ან მოსამართლის გათავისუფლებას.

საკვალიფიკაციო კლასის დაქვეითება ასევე განეკუთვნება მკაცრ სანქციათა რიცხვს, ვინაიდან ასევე, დაკავშირებულია მოსამართლის თანამდებობრივი უფლებამოსილების სხვაგვარ შეზღუდვასთან. სახდელის ასეთი ტიპი, კერძოდ, მოსამართლისათვის საკვალიფიკაციო კლასის დაქვეითება ექვსი თვის ვადით, გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი პოსტსაბჭოთა ქვეყნის - ბელარუსის კანონმდებლობით.

რაც შეეხება ყველა ზემოთ დასახელებულ შემთხვევაში დისციპლინური სახდელის გამოყენების საფუძვლებს, ყველა ჩვენს მიერ განხილული ქვეყნის კანონმდებლობით სადისციპლინო ორგანო სახდელის შეფარდებისას ითვალისწინებს დარღვევის ხასიათსა და შედეგებს, გადაცდომის სიმძიმეს, მოსამართლის პიროვნებას, მისი ბრალეულობის ხარისხს და სხვა გარემოებებს.

5. სადისციპლინო ორგანოების სტრუქტურა

5.1 საზოგადოებრივი სექტორის მონაწილეობა სადისციპლინო ორგანოთა საქმიანობაში

რიგი პოსტსაბჭოთა ქვეყნის დისციპლინური კანონმდებლობა არ ითვალისწინებს დისციპლინურ ორგანოთა საქმიანობაში საზოგადოებრივი სექტორის ჩართულობას, რომელთა როლიც მნიშვნელოვანია მოქალაქეების ნდობის ხარისხის ამაღლებაში ამ ორგანოთა საქმიანობის ეფექტურობის მიმართ, ასეთი ქვეყნებია: მაგალითად ბელარუსი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი, რომელთა დისციპლინური ორგანოებიც მთლიანად დაკომპლექტებულია მოსამართლე წევრებისგან; ხოლო რაც შეეხება სომხეთს, რომლის მართლმსაჯულების საბჭო შედგება 9 მოსამართლე წევრისაგან, მის შემადგენლობაში ასევე პრეზიდენტის და პარლამენტის მიერ ინიშნება და აირჩევა 2–2 სწავლული იურისტი; აგრეთვე, მოლდოვის რესპუბლიკის კანონმდებლობით, სადისციპლინო კოლეგიის შემადგენლობაში კონკურსის წესით ინიშნება 4 სამართლის სპეციალისტი, კონკურსს აცხადებს იუსტიციის მინისტრი;¹³² უკრაინის რესპუბლიკაში დისციპლინური ორგანოს ფორმირების წესი და ამ ორგანოს საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელთა პირდაპირი მონაწილეობა, კერძოდ, უკრაინის იუსტიციის უმაღლესი საბჭო, რომელიც 20 წევრისაგან შედგება, აქედან 3 წევრს ირჩევს უკრაინის რადა (პარლამენტი), 3-ს პრეზიდენტი, 3 წევრს - უკრაინის ადვოკატთა ყრილობა, 3 წევრს ირჩევს უმაღლესი იურიდიული სასწავლებლებისა და სამეცნიერო დაწესებულებებიდან, 2 წევრს ირჩევს სრულიად უკრაინის პროკურატურის მუშაკთა კონფერენცია, ასევე, საბჭოს შემადგენლობაში შედის გენერალური პროკურორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და იუსტიციის მინისტრი.¹³³ აღსანიშნავია ისიც, რომ საბჭოს სხდომებს ესწრება იუსტიციის მინისტრი ან მისი წარმომადგენელი მაინც;¹³⁴ დისციპლინური ორგანოს ფორმირების აღნიშნული წესი ეწინააღმდეგება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, წარმოშობს ინტერესთა კონფლიქტს და ალბათ ეჭვქვეშ აყენებს მის სამართლიანობას და მიუკერძოებლობას. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, რომელშიც გაწერილია: *”მართლმსაჯულების საბჭოს პოტენციური, მოსამართლე თუ არამოსამართლე წევრები არ უნდა იყვნენ აქტიური პოლიტიკოსები, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლების ან ადმინისტრაციის წევრები. ანუ, არც სახელმწიფოს მეთაური, თუ იგი მეთაურობს მთავრობას და არცერთი მინისტრი არ შეიძლება იყოს მართლმსაჯულების საბჭოს წევრი. ამ მიმართულებით თითოეულმა სახელმწიფომ თავისი საკუთარი სამართლებრივი წესები უნდა შეიმუშაოს”*¹³⁵ რაც შეეხება კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყანას, თურქმენეთს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თურქმენეთში არ არსებობს იუსტიციის საბჭო. არამედ ამ ორგანოს ფუნქციები მთლიანად შეთავსებული აქვს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს დეპარტამენტს, რომელიც კურირებს მოსამართლეთა საქმიანობის ორგანიზებას. აღნიშნულის თაობაზე, კვლევისას ცნობილი გახდა რუსულ საიტზე გამოქვეყნებული ერთ-ერთი სადისციპლინო ნაშრომიდან, კერძოდ *”Н Е З А В И С И М О С Т Ъ СУДЕБНОЙ ВЛАСТИ В ГОСУДАРСТВАХ ЦЕНТРАЛЬНОЙ АЗИИ”*.¹³⁶ სადისციპლინო ორგანოს საქმიანობაში სახელისუფლებო ორგანოების მონაწილეობას შესაბამისი შეფასება აქვს

¹³² კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ, მუხლი მე-10;

¹³³ ЗАКОН УКРАИНЫ «О ВЫСШЕМ СОВЕТЕ ЮСТИЦИИ» ст. 5, 8, 9, 10, 11, 12;

¹³⁴ იქვე;

¹³⁵ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა, #10, 23-27 ნოემბერი, 2007 წელი, სტრასბურგი);

¹³⁶ <http://ruleoflaw.eu/wp-content/uploads/2014/04/Independence-of-the-judiciary-in-the-Central-Asian-States-RU-reduced.pdf>

მიცემული აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებაში "ვოლკოვის საქმეზე".¹³⁷

6. დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლება

რაც შეეხება მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების უფლებამოსილებას, სხვადასხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში აღნიშნული ფუნქცია გადანაწილებულია როგორც სასამართლო ხელისუფლებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მათი წარმომადგენლების (თანამდებობის პირების) ისე სასამართლო თვითმმართველობის დამოუკიდებელ ორგანოებს შორის, რაც პირდაპირაა დადგენილი ზოგიერთი ქვეყნის დისციპლინური სამართალწარმოების მარეგულირებელი კანონმდებლობით (თუ დებულებით); ასევე, კანონმდებლობითაა გათვალისწინებული დისციპლინური ორგანოების საქმიანობაში - ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პირდაპირი მონაწილეობაც. ასე, მაგალითად, ბელარუსის რესპუბლიკაში მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი პირები არიან: ბელარუსის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრი, შესაბამისი საოლქო (მინსკის საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტების იუსტიციის დეპარტამენტის უფროსები - შესაბამისი რაიონული (საქალაქო) და სპეციალიზებული სასამართლოების მოსამართლეთა მიმართ;¹³⁸ ბელარუსის მსგავსად, მოსამართლეთა მიმართ დისციპლინური დევნის დაწყების უფლებამოსილებით ასევე, აღჭურვილია სომხეთის რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრიც.¹³⁹ არსებული წესი ეწინააღმდეგება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების შესახებ საერთაშორისო ნორმებით დადგენილ სტანდარტებს. ასე, მაგალითად, "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ" ევროპულ ქარტიაში ვკითხულობთ: "ყველა იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება მოსამართლეთა შერჩევას, კანდიდატურების მოძიებას, დანიშვნას, სამსახურებრივ წინსვლას ან სამსახურებრივი ვადის შეწყვეტას, სტატუსი ითვალისწინებს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანოს მონაწილეობას".¹⁴⁰

რაც შეეხება დანარჩენ პოსტსაბჭოთა ქვეყნებს, დისციპლინური დევნის დაწყების დისკრეცია ისევე როგორც საქართველოს რეალობაში, კვლავ ზემდგომ სასამართლოებს აქვთ მინიჭებული, ამ მხრივ მისასაღმებელია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტი, რომლის მიხედვითაც ეს უფლებამოსილება ერთ კონკრეტულ ორგანოს, იუსტიციის უმაღლეს საბჭოს გადაეცემა, ასეთი წესი უკვე მოქმედებს აზერბაიჯანში (დისციპლინური სამართალწარმოების დაწყებაზე უფლებამოსილი ორგანოა - იუსტიციის საბჭო),¹⁴¹ მოლდოვაში (მაგისტრატურის უმაღლესი საბჭო),¹⁴² ყირგიზეთში (მოსამართლეთა საბჭოს სადისციპლინო კომისია).¹⁴³

¹³⁷ ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 9 იანვარი, 2013 წელი. http://dcj.court.ge/uploads/LAWS/VOLKOV-v_-UKRAINE-GEO.pdf

¹³⁸ КОДЕКС РЕСПУБЛИКИ БЕЛАРУСЬ О СУДОУСТРОЙСТВЕ И СТАТУСЕ СУДЕЙ, ст.115;

¹³⁹ სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსის 155-ე მუხლი;

¹⁴⁰ ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სტრასბურგი, 1998 წლის 8-10 ივლისი, მუხლი 1.3;

¹⁴¹ აზერბაიჯანის რესპუბლიკის კანონი სასამართლოებისა და მოსამართლეების შესახებ, მუხლი 112;

¹⁴² "მოლდოვის რესპუბლიკის კანონი მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ", მუხლი 21;

7. საქმის განხილვის წესი (სხდომათა საჯაროობა)

რაც შეეხება დისციპლინურ ორგანოთა სხდომების საჯაროობას, ჩვენს მიერ განხილულ თითქმის ყველა ქვეყნის სადისციპლინო კოლეგიისა თუ საბჭოს სხდომები ტარდება ღია წესით,¹⁴⁴ ზოგ შემთხვევაში, მაგალითად რუსეთის შემთხვევაში მასმედიის საშუალების მონაწილეობითაც.¹⁴⁵ მეტად საინტერესოა უკრაინის კანონმდებლობით დადგენილი ნორმა, რომელიც შეეხება მოსამართლის დისციპლინურ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დისციპლინური ორგანოს - მოსამართლეთა უმაღლესი საკვალიფიკაციო კომისიის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების ოფიციალურ ვებ.პორტალზე განთავსების წესს, (ეს წესი საქართველოს კანონმდებლობით ჯერ არ არის დადგენილი, ეროვნული კანონით გათვალისწინებულია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გასაჯაროება, პერსონალურ მონაცემთა დამტრიალებით), რაც ამ ორგანოს საქმიანობის გამჭვირვალობაზე მიუთითებს.¹⁴⁶ დახურული სხდომები ტარდება მხოლოდ უზბეკეთსა და სომხეთში, მათ შორის საქართველოშიც. სხდომათა დახურულ ფორმატში წარმართვა არ არის თანხვედრაში ევროპული კონვენციისა და საერთაშორისო დემოკრატიული ინსტიტუტების მიერ დადგენილ ნორმებთან.¹⁴⁷

8. კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო

მეტად საინტერესოა დეფინიციას შეიცავს ყაზახეთის იუსტიციის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულება "სასამართლო ჟიურის შესახებ", კერძოდ, საუბარია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვაზე ახლად აღმოჩენილი გარემოების გამო;¹⁴⁸ ასეთივე რეგულაცია გაწერილია აგრეთვე ბელარუსის კანონში: "სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ", რომელსაც თავად დისციპლინური ორგანო - მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგია ახორციელებს;¹⁴⁹ ანალოგიური ინსტიტუტი მოქმედებს სომხეთის რესპუბლიკაში.¹⁵⁰ და რუსეთის ფედერაციაშიც ¹⁵¹ ბოლოს დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ზემოთ განხილული პოსტსაბჭოთა ქვეყნების დისციპლინური სამართალწარმოების მთელი რიგი სპეციფიკური

¹⁴³ ყირგიზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონის "მოსამართლეთა სტატუსის შესახებ", 29-ე მუხლის მე-2 ნაწილი;

¹⁴⁴ რუსეთი, უკრაინა, მოლდოვა, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, ბელარუსი;

¹⁴⁵ Положение о порядке работы квалификационных коллегий судей, Статья 6, ч. 4, 5;

¹⁴⁶ უკრაინის რესპუბლიკის კანონი სასამართლო სისტემისა და მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, მუხლი 88-ე, 2-ე ნაწილი;

¹⁴⁷ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-40 მუხლის პირველი ნაწილი; ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე "პიერსაკი ბელგის წინააღმდეგ", (1982 წ.); ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგლამენტი, სტრასბურგი - 4 ნოემბერი, 1998 წელი;

¹⁴⁸ დებულების 45,46-ე მუხლები;

¹⁴⁹ კანონის 181-ე მუხლი;

¹⁵⁰ სომხეთის რესპუბლიკის მოსამართლეთა კოდექსი, 164-ე მუხლის მე-4, მე-5, მე-6 ნაწილები;

¹⁵¹ დებულება მოსამართლეთა საკვალიფიკაციო კოლეგიების მუშაობის წესის შესახებ, მუხლი 32;

მახასიათებლებისა უცხო ქვეყნების დისციპლინური პრაქტიკის შესწავლა და განზოგადება პოზიტიურ გავლენას მოახდენს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლების ზუსტი კრიტერიუმების დადგენასა და ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებაზე, ასევე, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ნოვაცია იქნება ქართულ დისციპლინურ კანონმდებლობაში დისციპლინური ორგანოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების ახლად აღმოჩენილ და ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის ინსტიტუტის, როგორც სამართლიანი დაცვის კიდევ ერთი ეფექტური საშუალების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და თავდაცვითი გარანტიების გაზრდას. მითუმეტეს, რომ ასეთ ინსტიტუტი შიდა ეროვნულ საკანონმდებლო სივრცეში დიდი ხნის წინ დაინერგა (სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში)¹⁵² და აღნიშნული ასევე, სრულ თანხვედრაშია მართლმსაჯულების სფეროში მოქმედ საერთაშორისო ნორმებთან, მაგალითად როგორცაა ევროპის სასამართლოს ნორმები, რომლის ერთ-ერთი მუხლი იმპერატიულ დათქმას შეიცავს აღნიშნულის თაობაზე, კერძოდ, მუხლში ვკითხულობთ: ”თუ სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ერთ-ერთი მხარისათვის ცნობილი გახდა ფაქტი, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებაზე და რომელიც მანამდე უცნობი იყო სასამართლოსათვის და არ შეიძლებოდა სცოდნოდა აღნიშნულ მხარეს, მას შეუძლია მოითხოვოს სასამართლო გადაწყვეტილების გადასინჯვა ექვსი თვის ვადაში იმ დღიდან, როცა მისთვის ცნობილი გახდა აღნიშნული ფაქტის შესახებ”.¹⁵³

¹⁵² მაგ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-312-ე მუხლი; სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლი; საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 30¹ მუხლი;

¹⁵³ ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს რეგლამენტი, ნორმა 80, აბზაცი 1; სტრასბურგი, 4 ნოემბერი, 1998 წელი.